ლელო

№169 (12 239)

20 ივლისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები. **დინამო-ვადუცი 2:0. ბელხატოვი-ამერი 2:0**

პირველი შთაბეჭდილება: დინამო შარშანდელზე უკეთესია

გივი დიდავა (მარჯვნივ) ბურთისთვის ბრძოლაში



გუშინ, ვაკეში. დინამო-ვადუცი 2:0. გიორგი მერებაშვილმა ანგარიში პენალტით გახსნა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

"ვადუცი" - ლიხტენშტაინის გუნდი, რომელიც შეიცარიის მეორე ლიგაში თამაშობს; ჯუჯა სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომლის ეროვნული გუნდი ათადან და ბაბადან უპერსპექტივო მაჩანჩალაა.

"ვადუცს" ვერ ექნება კარგი დახასიათება, მაგრამ ის უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოდის. ეს ისეთი რანგის შეჯიბრებაა, ყველა გუნდი მაქსიმალური კონცენტრაციით და შემართებით რომ თამაშობს. ამ ტურნირში ლაფსუსებსაც არ პატიობენ.

"ვადუცმა" კი ვერ გამოიყენა ის ლაფსუსზე დიდი შეცდომები, რაც "დინამოს" ჰქონდა, თუმცა მთლად ბეჩავი გუნდი რომ არ არის, ამაში დაგვარწმუნა.

"ვადუცის" ცოდვა-მადლი "დინამოს" გუშინდელ გამარჯვებას ვერ დააკნინებს. მეორე ტაიმში **დუშან უჰრინის** გუნდმა ის ფეხბურთი აჩვენა, იმედს რომ იძლევა, იქნებ "დინამომ" რამდენიმე ეტაპი გაიაროს ევროფრონტზე.

2

ორი დაგვირტყეს, ორი გაგვიტანეს

თბილისში ბრძოლა იქნება

ლევან ჯანეზაშვილი
ბელხატოვიდან

მატჩამდე ღირსშესანიშნავი არაფერი მომდარა. **გიორგი ჩიხრაძემ** შეგირდები დილის ათ საათზე "ბელხატოვის" სათადარიგო მოედანზე ავარჯიშა. საღამომდე ამერელები სასტუმროში ისვენებდნენ. ყურადღება კი ქართულ დელეგაციას არც დღეს აკლდა.

ნაშუადღევიდან მოყოლებული, სასტუმრო "სანტინთან" პოლონეთში მცხოვრები რამდენიმე ჩვენებური გამოჩნდა, რომლებმაც წინა დღით გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურეს - "ბელხატოვი"-"ამერის" სანახავად 50 ქართველი მივა, ისინი უკვე ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქალაქიდანო.

მასპინძლებმა "ამერის" ქომაგთათვის ორი სექტორი გამოყვეს. გლდანელთა პრესატაშე **გიორგი დარჯანიამ** ისინი საკლუბო და საქართველოს ეროვნული დროშებით მოამარაგა. სხვათა შორის, ჩვენებს მხარს ბელხატოვის მახლობლად შეკრებაზე მყოფი ბელარუსის ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც უჭერდნენ.

ბელხატოველ ქომაგებზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვით. "ლეგიის" უგვანმა ფანებმა ეროვნული სტადიონის გაზონზე რომ მოშარდეს, კარგად გეხსომებათ. საბედნიეროდ, პოლონელ გულშემატკივრებზე მხოლოდ ვარშაველი ხულიგნებით ვერ ვიმსჯელებთ. ბელხატოველებმა თავიანთ გუნდს ხომ ხმის ჩახლეჩამდე უქომაგეს, "ამერის" მიმართაც დიდი სითბო გამოხატეს. უნდა ვაღიაროთ, რომ გულშემატკივრობის კულტურით პროვინციულ ბელხატოვსაც საგრძნობლად ჩამოვრჩებით.

როგორც კი "ამერს" ახსენებენ, ბელხატოველები მყისვე ჩვენი გუნდის "ჰერტასთან" ტოლ-სწორად თამაშს ახსენებენ. თამაშისწინა მოთელვისას სტადიონის დიქტორმა ბარე ათი წუთი ისაუბრა "ამერსა" და პოლონურ-ქართული კლუბების ურთიერთშეხვედრათა ისტორიაზე. ცხადია, განსაკუთრებული სიამაყით "ვისლას" მიერ "ვიტ ჯორჯიის" გვემა გაიხსენა. ამის პარალელურად, "ბელხატოვის" ვეტერანი მეკარე **პიოტრ ლეხი** თანატოლ გიორგი ჩიხრაძესთან მივიდა, მეგობრულად გადაეხვია და თავისი კლუბის ემბლემიანი კაშნე აჩუქა. სტადიონის ადმინისტრაციამ კი წინა დღეს მოცემული დაპირება შეასრულა და "ამერის" ჰიმნი დაუკრა. სანამ უშუალოდ მატჩზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთ სასიამოვნო დეტალზე ვთქვათ - "ამერის" ახალ მაისურებზე ჩვენი ქვეყნის დროშაა ამოქარგული, რაც ფორმას ჩინებულ ელფერს აძლევს.

"ამერის" სასტარტო შემადგენლობაში სიურპრიზი არ ყოფილა. მოედანზე ზუსტად ის თერთმეტეული გავიდა, რომელიც მწვრთნელებმა ვარჯიშზე შეარჩიეს.

3

21 წლამდელთა ნაკრები

ბრაზილია თანახმაა აგვისტოში გვეთამაშოს

საქართველოში ბრაზილიის ეროვნული ნაკრების სტუმრობა აგვისტოში კი გამოირიცხა, მაგრამ არსებობს შანსი, რომ საქართველოს ამ ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი ეწვიოს.

ბრაზილიიდან გუშინ მოვიდა ფაქსი. ამ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები თანახმაა, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებთან თბილისში, მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ამხანაგური მატჩი გამართოს. ეს ამბავი გუშინ ნიკო პატარქალიშვილმა გვამცნო...

"ჩვენმა 21-წლამდელთა ნაკრებმა 5 ივნისს ესპანეთთან მატჩით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ახალი შესარჩევი ეტაპი. მომდევნო მატჩი 22 აგვისტოს, სტუმრად, პოლონეთთან გვაქვს. პეტარ სეგრტის გუნდს კარგ მეტოქესთან გაჯიბრება ნამდვილად წაადგება. ბრაზილიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და მათ უკვე გამომიგზავნეს ის პირობები, რომლის შესრულების შემთხვევაში, თბილისში ჩამოვლენ სათამაშოდ.

ფეხბურთის ფედერაციას ამ პირობებს ხვალ გავაცნობ და იმედია, მხარეებს შორის შეთანხმება შედგება.

რაც შეეხება ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთან თბილისში გასამართ ამხანაგურ მატჩს, ამ საკითხზე მოლაპარაკებები კვლავ გრძელდება და მალე ყველაფერი გადაწყდება", - აღნიშნა "ლელოსთან" საუბარში ნიკო პატარქალიშვილმა.

დავით ცაბაძე

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

პირველი შთაბეჭდილება: დინამო შარშანდელზე უკეთესია

დინამო-ვადუცი

2:0

19.07.07. თბილისი. მ. მესხი
2000 მაყურებელი

1:0 მერებაშვილი (პენ. 64), 2:0 აკირემი (78)

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ოდიკაძე (55. ფეიქრიშვილი), ხმალაძე, მერებაშვილი, დიმელაშვილი, კობახიძე (79. სპოსოევიჩი), აკირემი (85. ხუციშვილი),

სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, ფირცხილავა

ვადუცი: სომერი, ალასტრა, გროსკლაუსი (65. ვიჩორეკი), ლანგლე (75. რერერი), რეინმანი (73. აკდემირი), მაგეტი, დზომბიჩი, რიცერბერგერი, ჩერონე, შტურმი, პოლვერინო

სათადარიგოები: ვუტრიხი, პასლერი

გაფრთხილება: ჩერონე (37)

მსაჯი: ქსაბა საპი (უნგრეთი)



სახიფათო მომენტი ლიხტენშტაინელთა კართან

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

აკირემის საგოლე დარტყმა

პირველი გვერდიდან

ძალიან საინტერესოა, როგორი იქნება "დინამო" **სანდრო იაშვილის** გარეშე. ერთი მატჩით ბევრს ვერაფერს ვიტყვით, თუმცა კი გამოჩნდა, რომ "დინამო" უწინდელივით მარცხენა ფლანგიდან აზანზარებს მეტოქეს და თუ სისწრაფესა და აგრესიულობას უმატებს, ამ კოზირს ეფექტურად იყენებს.

პირველი ხიფათი "ვადუცის" კართან - **დავით დიღმელაშვილის** ჩაწოდებული ბურთი **იან სომერმა** ხელებში ვერ შეიმაგრა, **ჯორჯ აკირემმა** უკან დაუგორა **სანდრო კობახიძეს**, რომლის დარტყმული ერთ-ერთ მცველს მოხვდა.

მეორე ჯერზე კობახიძე **გიორგი მერებაშვილმა** მოამარაგა პასით - დინამოელთა მარცხენაფლანგელმა მახვილი კუთხიდან მეკარეს ვერ აჯობა.

და "ვადუცის" საგოლე შანსიც: **მიკელე მაგეტი** ფაქტობრივად პირისპირ დარჩა "დინამოს" გაბონელ მეკარე **დიდიე ოვონოსთან**, მაგრამ მასთან მიახლოებას მეორიდა, კუთხე დაიმახვილა და იქიდან კარში ურტყამდა თუ კარის გასწვრივ აწოდებდა, ღმერთმა უწყის - ბურთი უშნოდ გაუშვა განზე.

ტაიმის შუაწელიდან ბურთის ფლობის ხანგრძლიობაში "დინამომ" მკვეთრი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ "ვადუცის" კართან სიმწვავე დიდი არ იყო - ლიხტენშტაინელები რიგიანად უმკლავდებოდნენ დინამოელთა არცთუ მძლავრ შეტევებს.

უჰრინმა მოახერხა და მეორე ტაიმისთვის გუნდი სულ სხვანაირად მომართა. "დინამომ" უფრო შლეგად და სწრაფად შეუტია, რამაც "ვადუცის" დაცვა მოაყანყალა.

მერებაშვილის ოციოდე მეტრიდან გასროლილი სომერმა ხელებში გააქვავა; დიღმელაშვილის პასით აკირემი მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ ბურთი ვერ დაიმორჩილა. "დინამომ" თითქოს ძალა ირწმუნა, თითქოს მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნილი ჰყავდა და ასეთ მომენტში, კინაღამ აქეთ გაუშვა ბურთი. ჯერ იყო და, **ფლორიან შტურმი** გასცდა **ნედ ზელიჩს** და მარცხენა მახვილი კუთხიდან ხარიხას გადაავლო ბურთი, მერე კი **იოან ლანგე** მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და ოვონომ მისი დარტყმული მოიგერია, შტურმმა 15-16 მეტრიდან დაამატა და ისევ გაბონელმა იმარჯვა - ბურთი კუთხურზე უკუაგდო.

"დინამო" მეტოქის ასეთმა გამოხდომამ უფრო გაახელა. მერებაშვილმა მარცხენა ფლანგიდან აიკლო "ვადუცის" დაცვა. მისი შეჩერება ლიხტენშტაინელებს ძალიან უჭირდათ და საბოლოოდ ჩაფლავდნენ კიდეც - გიორგიმ პენალტი მოინადირა და უნაკლოდაც შეასრულა - 1:0.

ამან "ვადუცი" გატეხა, ხეირიანად ბურთს ვეღარ აგორებდა მოედნის ცენტრში და დინამოელები ორთაბრძოლებშიც ჯაბნიდნენ მეტოქეს. შეცვლაზე შესულ **გიორგი ფეიქრიშვილსაც** შეეძლო გატანა, თუმცა მარჯვნიდან ცაციათი ვერ ჩააბზრიალა ბურთი შორეულ კუთხეში. თამაში მთლიანად "დინამოს" მიჰყავდა და მეორე გოლიც - აკირემმა ბოლომდე იბრძოლა, სისწრაფესა და ღონეში აჯობა ერთ-ერთ მცველს, მეკარესთან პირისპირ დარჩა და ტექნიკურადაც გადაავლო ბურთი მეკარეს.

"დინამოს" მესამე გოლის გატანაც მართებდა - მეკარის შეცდომა ფეიქრიშვილმა ვერ გამოიყენა, სიზუსტე დააკლდა.

"დინამომ" კარგი ფორა დაიბევა საპასუხო მატჩისთვის და რაც მთავარია, იმ "დინამოზე" უკეთესი ჩანს, შარშან რომ გამოდიოდა ინტერტოტოზე - ასეთია პირველი შთაბეჭდილებები. "დინამოს" გაბონელებიც რიგიანად გამოიყურებოდნენ.

დავით თავართქილაძე

მატჩის შემდეგ. პრესკონფერენცია და კომენტარები

აკირემმა პიროობა შეასრულა

გუშინ თამაში, დღეს დაჯილდოება

მატჩის შემდეგ, გახარებულმა დინამოელებმა ემოციებს გასაქანი მისცეს. ყველა ერთმანეთს ულოცავდა. ხარობდა "დინამოს" მეკარე სოსო გრიშიკაშვილიც, რომელსაც გერმანულ შეკრებაზე თითი მოსტყდა და, სავარაუდოდ, სექტემბერში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას... ფეხბურთელთა კომენტარების გაცნობამდე იმასაც გეტყვით, რომ დღეს ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს მშობლიურ ბაზაზე ვერცხლის მედლებით დააჯილდოებენ.

მიხეილ ხუციშვილი: - "ვადუცს" ყველა სუსტ მეტოქედ მიიჩნევდა. თუმცა ამ მატჩშიც გამოჩნდა, რომ იოლი გასეირნება არ გვქონდა. ვფიქრობ, საპასუხო მატჩიც რთული იქნება.

ჯორჯ აკირემი: - დაძაბული მატჩი გვქონდა. მოხარული ვარ, რომ მოვიგეთ და ტურნირი გამარჯვებით დავიწყეთ. ბედნიერი ვარ, რომ წარმატებული დებიუტი მქონდა. რამდენადაც მახსოვს, ამ რამდენიმე დღის წინათ, ინტერვიუში გითხარით კიდეც, ისე როგორ იქნება, ერთი გოლი რომ ვერ გავიტანო-მეთქი. ბედნიერი ვარ, ძალიან ბედნიერი... მეტი რა გითხრათ.

- მეტოქემ როგორი შთაბეჭდილება დატოვა?

- საკმაოდ კარგად ითამაშეს. მათ კონტრშეტევებზე ჰქონდათ დაგეგმილი გოლის გატანა, მაგრამ დიდიე ოვონომ და მცველებმა იმარჯვეს. ჩვენთვის დიდი ფორაა კარი მშრალად რომ შევინახეთ.

დიდიე ოვონო: - პირველი ოფიციალური თამაში იყო და ნერვიულობაც ყველას გვეტყობოდა. მიუხედავად ამისა მოგება შევძელით და საპასუხო მატჩის წინ ჩინებული ფორა გვაქვს. ვფიქრობ, პირველი გოლი ადრე რომ გაგვეტანა, უფრო დიდი ანგარიშითაც მოვიგებდით. თუმცა ეს ანგარიშიც კარგი ფორაა. საპასუხო თამაშშიც დაძაბული გველის, მაგრამ ეს ეტაპი უნდა გადავლახოთ და, მჯერა, ამას შევძლებთ კიდეც.

დავით ცაბაძე

ჰაინც ჰერმანი: - ვულოცავ "დინამოს" გამარჯვებას. 60-65 წუთი გავუძელით მეტოქის შეტევებს, მაგრამ მერე დაღლა შეგვეტყო, დინამოელთა გამოცდილებამაც თავისი საქმე გააკეთა. მიუხედავად წაგებისა, კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების თამაშით...

- ბევრს ვცდილობდით, გადაგვეკეტა ზონები. ვიცოდით, რომ ქართველები ტექნიკურები იყვნენ და მათთვის სათამაშო სივრცე არ უნდა მიგვეცა...

- საპასუხო მატჩამდე ჩემპიონატში ორი თამაში გვინევს და შევეცდებით უკეთ მომზადებულები დავხვდეთ მეტოქეს.

დუშან უჰრინი: - ჩვენი პირველი ოფიციალური თამაში იყო. პირველ ტაიმში ვერ ვითამაშეთ, როგორც საჭირო იყო. შესვენების მერე შევცვალეთ ვითარება მოედანზე, შეტევაში წავედით და არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით, რომელთაგან მხოლოდ 2 გამოვიყენეთ. მეტოქესაც ჰქონდა სამი მომენტი. არავის ეგონოს, რომ მომდევნო წრეში გასული გარკვეულია. "ვადუცი" საკმაოდ კარგი გუნდია. სტუმრად რთული ბრძოლა გველის. ვფიქრობ, მოგების მიუხედავად მომდევნო წრეში გასვლის შანსი ორივეს თანაბარი გვაქვს...

- მერებაშვილი მეორე ტაიმში უკეთ ათამაშდა. კარგად მოძრაობდა და თამაშიც აიღო საკუთარ თავზე...

- ჩვენი პრობლემა იყო დაცვის სუსტი თამაში. მეკარე და ერთი მცველი ახლახან ჩაირიცხნენ გუნდში და თანაგუნდელებთან შეთამაშება აკლიათ...

- არ გვყავს კარგი გამთამაშებელი და ამიტომაც შევცვალეთ სათამაშო ტაქტიკას.





სხვა მატჩები

განანცი (სომხეთი)-იანგ ბოიზი (შვეიცარია)	1:1
მკტ არაზი (აზერბაიჯანი)-გროცლინი (პოლონეთი)	0:0
სანტა კოლომა (ანდორა)-მაკაბი (თ-ა, ისრაელი)	1:0
მორავცე (სლოვაკეთი)-ალმა ათა (ყაზახეთი)	3:1
აქტობე (ყაზახეთი)-მატერსბურგი (ავსტრია)	1:0
ვოივოდინა (სერბეთი)-ჰიბერნიანსი (მალტა)	5:1
ფლორა (ესტონეთი)-ვოლერენგა (ნორვეგია)	0:1
სლავენი (ხორვატია)-ტეუტა (ალბანეთი)	6:2
გეუანია (სერბეთი)-გესა (ალბანეთი)	2:2
ჰიკ (ფინეთი)-ეტცელა (ლუქსემბურგი)	2:0
მიუსა (ფინეთი)-სტეიმური (ფარერები)	1:0
ნისტრუ (მოლდოვა)-ჰონვედი (უნგრეთი)	1:1
მეტალურგსი (ლატვია)-დინამო (ბრ, ბელარუსი)	1:1
სკონტო (ლატვია)-დინამო (მნ, ბელარუსი)	1:1
ტორსპავნი (ფარერები)-ეკრანასი (ლიტვა)	1:3
ჰელსინგბორგი (შვედეთი)-ტრანს ნარვა (ესტონეთი)	6:0
ლილესტრიომი (ნორვეგია)-კაერინეგი (ლუქსემბ.)	2:1
ოგონია (კვიპროსი)-რუდარი (ჩერნოგორია)	2:0
სლი

ორი დაგვირტყეს, ორი გაგვიტანეს

ბელხატოვი-ამერი

2:0

19.07.07. ბელხატოვი.
5 000 მაყურებელი

1:0 პეტრაშიაკი (51), 2:0 პეტრაშიაკი (83)

ბელხატოვი: ლეხი, პოპეკი, კეკოტი, კოვალჩუკი, სტოლარჩუკი, პეტრაშიაკი, იარუებოვსკი, სტრაკი, ვრობელი (89. მარჩინიაკი), რახვალი, კოსტლი (83)

სათადარიგოები: შაპელა, მაგდონი, კომოროვსკი, ტოსიკი, გროძიცკი

ამერი: ქვაჩახია, ჩიკვილაძე, დავითნიძე (90. კობაური), დიდავა, ხვადაგიანი, დობროვოლსკი, ჯელაძე, ბოლქვაძე, დოლიძე (75. შალამბერიძე), დავითაშვილი (62. ტატანაშვილი), გოცირიძე

სათადარიგოები: ნადირაშვილი, ელბაქიძე, კაკაშვილი, დეკანოსიძე

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (36), იარუებოვსკი (71), დავითნიძე (86), ხვადაგიანი (90)

არბიტრი: ტონი შაპრონი (საფრანგეთი)

პირველი გვერდიდან

პირველი ტაიმის უდიდესი ნაწილი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, მასპინძლები მხოლოდ პირველი ათი წუთის განმავლობაში ფლობდნენ საგრძნობ უპირატესობას. გოლს პირველივე წუთზე გადავურჩით. ჩვენი დაცვის შეუთანხმებელი ქმედებით კინაღამ შავკანიანმა **კარლოს კოსტლიმ** ისარგებლა. ოდნავ უფრო მაღალი კლასის ფორვარდი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ჰონდურასელმა თავური 7-8 მეტრიდან ააცილა.

მე-6 წუთზე მთელმა სტადიონმა "გოოოოოლ" იხუვლა და ტრიბუნაზე მსხდომმა ქართველებმაც თავში ხელი წავიშინეთ. საბედნიეროდ, ჩვენც და პოლონელებიც შევცდით - **ზურაბ ქვაჩახიას** მიერ დაცული კუთხის ბადეში ბურთი გარეთა მხრიდან გაეხვა.

ჩიხრაძემ ბიჭებს შეუძახა, შეტევაში თამამად წადითო, და თამაშიც სულ მალე გათანაბრდა. პირველი კუთხური "ამერმა" მოაწოდა, მანამდე **რევაზ გოცირიძის** თავურს **ლეხი** დაუხვდა. ტაიმის შუაწელიდან საქართველოს თასის მფლობელები კიდევ უფრო გათამამდნენ და მომენტებში თავად იყვნენ სიტუაციის ბატონ-პატრონნი. საწყისი 45 წუთიდან **სულიკო დავითაშვილი** და **დავით ბოლქვაძე** უნდა გამოვარჩიოთ. ანსამბლიდან გოცირიძე იყო ამოვარდნილი, პირველი ბურთის მოგებას იგი იშვიათად ახერხებდა. **დობროვოლსკიმ** კი რამდენიმე ელემენტარული ტექნიკური შეცდომა დაუშვა. შესვენებამდე დასამახსოვრებელი ზურაბ ქვაჩახიას მეტოქესთან შეჯახება იყო. საბედნიეროდ, რამდენიმეწუთიანმა სამედიცინო ჩარევამ დადებითი შედეგი გამოიღო და მეკარემ თამაში განაგრძო.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, პოლონელებმა პირველად რომ გაგვიტანეს - კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **პეტრაშიაკმა** თავით გადაგზავნა "ამერის" კარში. მანამდეც და ამის მერეც თამაში აბსოლუტურად თანაბარი იყო და ცენტრში მიმდინარეობდა. უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი გუნდი ახერხებდა. გოცირიძემ ვერც შესვენების შემდეგ გამოასწორა თამაშის ხარისხი და ალბათ ის უფრო იყო შესაცვლელი, ვიდრე დავითაშვილი.

შეცვლაზე შესული **ტატანაშვილი** საკმაოდ აქტიურად ჩაერთო თამაშში და ამერელთა მიერ შექმნილი ერთადერთი სახიფათო მომენტიც მის ანგარიშზეა - ფორვარდის დარტყმული მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს.

საბოლოო ანგარიში კი 83-ე წუთზე იმავე პეტრაშიაკმა დააფიქსირა. კარიდან 35 მეტრში ჯარიმიდან მოწოდებული ბურთისთვის საჰაერო ორთაბრძოლა საკუთარ საჯარიმოში წააგო ტატანაშვილმა, ბურთი პეტრაშიაკს მიუვიდა და კარის წინ 2-3 მეტრში მდგომმა ქვაჩახიას შანსი არ დაუტოვა. ამ ეპიზოდში მეკარემ ჯერ წინ გააკეთა მოძრაობა, დარტყმის კუთხის შემცირება სურდა, მერე კი, რატომღაც, ისევ უკან დაიხია.

დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი მომხდარა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე პოლონელთა მწვრთნელის ნათქვამი არავინ გვითარგმნა, გიორგი ჩიხრაძემ კი აღნიშნა, რომ რთული მატჩი იყო და წაგების მიუხედავად, "ამერს" კიდევ აქვს მეორე რაუნდში გასვლის შანსი და ყველაფერი თბილისში გადაწყდებაო.

რევაზ გოცირიძემ (მარჯვენივ) და ამერმა პირველი ბრძოლა დათმეს

ციმაკურიძე ზარიაშია

მარიუპოლის "ილიჩევეციდან" წამოსულმა **გიორგი ციმაკურიძემ** ნავსაყუდელს ლუგანსკის "ზარიაში" მიაგნო. ახალ კლუბში გადასვლის ამბავი უკრაინულმა "სპორტ-ექსპრესმა" გუშინ გაავრცელა . ციმაკურიძემ "ზარიასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 18 ნომრიანი მაისურაც მიიღო.

"ილიჩევეციდან" წამოსვლა ვითარებამ აიძულა. კლუბი მას ახალ კონტრაქტს სთავაზობდა, რაზეც ქართველმა ფეხბურთელმა უარი განაცხადა. ციმაკურიძე მიხვდა, რომ გუნდის პირველ ლიგაში გავარდნა სავსებით რეალური იყო და კონტრაქტის გახანგრძლივება ამიტომ არ ისურვა. ამის გამო მთელი მეორე წრე სათადარიგოებში დასვეს.

მერაბ მამულაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

მალხაზ ასათიანი მოედანს ერთი თვის წინათ დაუბრუნდა. მოსკოვის "ლოკომოტივმაც" ამოისუნთქა და რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებმაც. მისი რვათვიანი იძულებითი დასვენებით ორივემ და ბუნებრივია, თავად ფეხბურთელმაც საკმაოდ იზარალა.

მალხაზი ახლა ცდილობს ფორმის აღდგენას და როგორც ჩანს, წარმატებითაც. "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი გუნდის ბოლო წარმატებებს ასათიანის დაბრუნებით ხსნის - მან თავდაჯერება შეგვძინა და მეორე წრეში კიდევ უფრო მეტ სიკეთეს მოგვიტანსო. თავად ქართველი ლეგიონერი კი, როგორც ყოველთვის, თვითკრიტიკულია.

ლეგიონერი

ასათიანი ადასტურებს

შალკეზე ხმებმა ჩემამდეც მოაღწია, მაგრამ...

- მალხაზ, მოედანზე დაბრუნების შემდეგ თავს როგორ გრძნობ?

- რა თქმა უნდა, ძველებურად ვერ ვგრძნობ თავს, ტაქტიკურად მიჭირს, შეცდომებს ვუშვებ, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე ყველაფერს ვასწორებ.

- რვათვიანი შესვენების შემდეგ უშეცდომოდ თამაში დაუჯერებელიც იქნებოდა.

- რა თქმა უნდა. მე ის მიხარია, ფორმის აღდგენას გეგმის მიხედვით რომ ვახერხებ.

- თამაში ოდნავ ადრეც შეგეძლო, მაგრამ "სპორტ-ექსპრესთან" თქვი, სანამ ფსიქოლოგიურად არ ვიქნები მზად, მანამდე დაბრუნება არ მსურსო. ტრავმის შემდეგ ბევრს შიშიც უჩნდება. გულწრფელად გვითხარი, ფიზიკური პრობლემა უფრო მთავარი, ტაქტიკური თუ ფსიქოლოგიური?

- ფსიქოლოგიური უკვე გადავლახე, უთამაშებლობის შემდეგ ფიზიკურად და ტაქტიკურად უფრო მიჭირდა.

- "ლოკომოტივმა" ახალი კონტრაქტი როდის შემოგთავაზა?

- მაშინ ჯერ კიდევ მოედანზე დასაბრუნებლად ვემზადებოდი. სამწლიანი გავაფორმე, მაგრამ სერიოზული მიწვევის შემთხვევაში ხელს არ შემიშლიან. ამის გარანტია მივიღე.

- ნუთუ რუსეთიდან წასვლაზე არ გიფიქრია?

- როგორ არ მიფიქრია, მაგრამ სერიოზული შემოთავაზება ჯერ არც ყოფილა. რომ ყოფილიყო, დავფიქრდებოდი.

- ასეთ დროს, რაც არ უნდა დაგპირდნენ, სამწლიანი ხელშეკრულება ხელს არ შეგიშლის?

- რადგან შემპირდნენ, ხელს ნაღდად არ შემიშლიან.

- აშვეთიამ "კარლ ცაისში" წასვლამდე თქვა, მეტისმეტად მცირე ხელფასი რომ არ მქონოდა, რუსეთისკენ არც გავიხედებოდიო. არ მგონია, ამას შენც არ აღიარებდე - ევროპაში ბევრად უკეთესი ფეხბურთია. არც ერთი ევროპული კლუბი არ გიწვევდა? "რომას" წარმომადგენელი საქართველო-იტალიაზე საგანგებოდ შენზე დასაკვირვებლად ჩამოდიოდა, ან იგივე "შალკე" არარეალური იყო?

- დასამალი არაა, მეც მესმოდა, რომ "შალკე" დაინტერესდა, მაგრამ მოლაპარაკება "ლოკომოტივთან" არ ჰქონია.

მეორე მომენტია, რომ მიშა ასეთ რამეს შემთხვევით არ იტყოდა. რუსეთიც ნახა, გერმანიაც და საკუთარი აზრი ჩამოუყალიბდა. ევროპაში სხვა მოედნებია, თამაშებზე ხალხი დადის.

- რუსეთშიც ხომ დადის?

- დადის, მაგრამ სტადიონები ყოველთვის არ ივსება. ჩვენ "ზენიტს", "სპარტაკს" ან ცსკა-ს თუ არ ვეთამაშებით, ტრიბუნები არ ივსება. ევროპაში გულშემატკივრები რიგით შეხვედრასაც ესწრებიან.

- ანუ რუსეთში თამაშზე არაა საზეიმო ვითარება.

- ასეც არაა, უბრალოდ, ესპანეთში, იტალიასა და ინგლისში უკეთესი საფეხბურთო გარემოა. მოსკოვს პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი ან ორი გუნდი რომ ჰყავდეს, ხალხი უფრო ივლიდა. ახლა ლიგაში მოსკოვის ექვსი გუნდია, ხალხიც განაწილებულია.

- კი თქვი, რომ "შალკე" არ გიწვევს, მაგრამ გვითხრეს, რომ გუნდში რეკომენდაცია კობიაშვილმა გაგიწია.

- კობიაშვილისგან არ გამიკვირდება, სიტყვას თუ შემაწევს. თუ დაინტერესდნენ, "შალკეში" ერთადერთი ქართველი ლევანია და აზრს მას ჰკითხავდნენ. დანარჩენზე რა გითხრათ, მეც გაზეთიდან შევიტყვე.

- გაზეთიდან?

- დიახ, გაზეთიდან, ყოველ შემთხვევაში, საუბარი საუბრადვე დარჩა.

- რუსეთმა რა შეგძინა?

- მეტად გავიგე რა არის პროფესიონალიზმი, შევიძინე სახელი და ხალხმა გამიცნო. რუსეთის ჩემპიონატი ესპანეთის, იტალიისა და ინგლისისას ვერ შეედრება, მაგრამ ბოლო სამი წელიწადია დონე საკმაოდ გაიზარდა. მეც ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი, ტიტულები მოვიპოვე, თასის მფლობელი გავხდი.

- რუსეთში ცნობილი ადამიანი გახდი, ყოველ დღე შენზე რომელიმე გაზეთი მაინც წერს. პირადი სარეკლამო კონტრაქტის გაფორმება არც ერთ კომპანიას არ შემოუთავაზებია?

- კონტრაქტი მხოლოდ "ლოკომოტივთან" მაქვს, სხვა არანაირი შეთანხმება არავისთან მქონია, პირადი მენეჯერიც დღემდე არ მყოლია.

- რატომ?

- არ დამჭირვებია და იმიტომ. ერთადერთი მაშინ დავფიქრდები, თუკი ევროპაში თამაშს გადავწყვეტ. მაშინ ენის უცოდინრობის გამო მენეჯერი დამჭირდება. სხვათა შორის, პირადი კონტრაქტი არც შემოუთავაზებიათ.

- რუსეთში მოთამაშე ქართველებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?

- მგონი, ყველაზე უკეთესად დათო მუჯირია. "კრილიას" რომ შევხვდით, ვერ გააჩერეს, დათოს გარეშე ეს გუნდი გაცილებით სუსტი იქნებოდა.

- საქართველოს ნაკრებზეც ვისაუბროთ. რა სჭირს ასეთი, რომ ვერა და ვერ დაიქოქა?

- მე რა გითხრათ, როცა მთელი საქართველო ამაზე ფიქრობს და პასუხი ვერავის გაუცია. ყველა ამას კითხულობს, საქართველოშიც და უცხოეთშიც. კვალიფიციური მწვრთნელიც გვყავს, მოთამაშეებიც მონდომებულები ვართ და დამიჯერეთ, ფეხებს ნაღდად არავინ ზოგავს. ყველას ერთი სურვილი გვაქვს - მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვითამაშოთ. არ ვიცი, რა ხდება, ძნელი ასახსნელია, ფაქტია, რომ რაღაც არ გამოგვდის.

- რას განიცდიდი ტრავმირებული, როდესაც ნაკრებს და "ლოკომოტივს" უყურებდი?

- თამაშით სიამოვნებას ვერ ვიღებდი. ეს მძიმე გადასატანია.

მერაბ მამულაშვილი

www.kazbegi.com

გაახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საჭირბოროტო საკითხი

ეროვნულის ორი კაცი უგუნდოდაა

ევროპა ტოპის შვიდეულს არ ცნობს?



გიორგი ლომაია და ლევან ცქიტიშვილი, ჯერჯერობით, უკლუბოდ არიან

იმდენი ითქვა და დაიწერა იმაზე, რომ ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში გამორჩეული ფეხბურთელები უკრაინა-რუსეთში კი არა, ევროპაში უნდა წავიდნენ, იენის "კარლ ცაისში" უკვე სამი ქართველია - **გიორგი ონიანი, ილია კანდელაკი** და **გიორგი სეთურიძე**. მეორე ბუნდესლიგაში ისინი ვინძლო სანაკრებოდ გამოიწრთონ. მაგრამ რა ელით იმ ფეხბურთელებს, რომლებიც უკვე გამოწრთობილი არიან ნაკრებისთვის, მაგრამ ამ დროისთვის უგუნდოდ დარჩნენ, ევროპაში კი სეზონი ორ-სამ კვირაში განახლდება. რატომ დაემართათ ეს **გიორგი ლომაიასა** და **ლევან ცქიტიშვილს**? სად დაუშვეს მათ შეცდომა?..

რუსეთში უთამაშებლობით გათანგულმა ლომაიამ თამაშის გემო წინა სეზონის მეორე ეტაპზე გაიხსენა. "კარლ ცაისის" კარს კარგად იცავდა და გუნდმაც ამოცანა შეასრულა - მეორე ბუნდესლიგიდან არ გავარდა. მან მატჩების უმეტესობა მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ გუნდმა მასთან კონტრაქტი მაინც არ გააგრძელა. არადა კარლცაისურმა სათამაშო პრაქტიკამ გიორგის სანაკრებო თამაშზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა - ლომაია თავდაჯერებული და საიმედო იყო, რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია შოტლანდიასთან, ლიტვასა თუ საფრანგეთთან. სათამაშო პრაქტიკით მოღონიერებულ ლომაიას ნაკრებში ალტერნატივა თითქოს არ ჰყავს, მაგრამ ის ახლა უგუნდოდაა...

ლომაიას შარშანაც შეეძლო "კარლ ცაისში" გადასვლა, თუმცა იენელებმა **რალფ მინგეს** დაუგდეს ყური - ლომაია არასტაბილური მეკარეაო. ვივარაუდოთ, რომ ჰერ მინგემ ის თქვა, რასაც ლომიაზე ფიქრობდა, მაგრამ იმის თქმაც შეეძლო, რომ ლომაია ურიგო მეკარე არ არის და თუ სათამაშო პრაქტიკა ექნა, ვინძლო უკეთ ათამაშდესო. ნაკრების სამწვრთნელო შტაბს ალბათ ახლაც შეუძლია კარგი რეკომენდაცია გაუწიოს ლომაიას რამდენიმე გერმანულ კლუბში, თუმცა გიორგი ისევ უგუნდოდაა - ნაკრებს კი მასზე უკეთესი მეკარე ამ დროისთვის ნამდვილად არ მოეპოვება. მიმდინარე შესარჩევში მეკარეთაგან ყველაზე კარგად თავი ლომაიამ წარმოაჩინა.

ისევ რუსეთის, ან უკრაინის საშუალო გუნდები? შესაძლოა, ლომაიასთვის ეს ოპტიმალური ვარიანტიც იყოს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იქ სათამაშო პრაქტიკა ექნება. ლომაია 28 წლისაა, ზრდასრული ფეხბურთელია და ანი გამოცდილებას თუ შეიმატებს.

შესაძლოა, ლომაია მხოლოდ იმაზე არ ზრუნავდეს, ოღონდ უცხოეთში წავიდეს და ძირითადში მოხვედრის დიდი შანსი არ ჰქონდეს. ფინანსური მხარეც მნიშვნელოვანია. "კარლ ცაისში" ხომ ლომაიას მაღალი ანაზღაურება არ ჰქონია.

როგორც უნდა იყოს, მისი ახლანდელი მდგომარეობა ეროვნული ნაკრებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა. ნაკლებად რეკლამირებული მეკარისთვის რიგიანი უცხოური გუნდის გამოძებნა რთულია.

კახა კალაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი, შოთა არველაძე და **გიორგი დემეტრაძე** - ამ შვიდეულზე **კლაუს ტოპმიოლერმა** თქვა, ისინი ევროპული ხარისხის ფეხბურთელები არიან და მათი სრულფასოვანი შემცვლელები საქართველოს არ ჰყავსო. თუ ტოპის ამ შვიდეულიდან ერთი ან რამდენიმე გამოაკლდა, ეს მისთვის უკვე გასამართლებელი საბუთია. ცქიტიშვილი კი ამ შვიდეულშია და ცოტა არ იყოს, უცნაურიც კია, დღემდე უგუნდოდ რომ არის.

წინა სეზონი ცქიტიშვილმა ბერძნულ "პანიონიოსში" ითამაშა. პირველ წრეში ის იშვიათად იყო ძირითადში და იანვარში შოთა არველაძის "ალკმაარში" დააპირა გადასვლა. **ლუის ვან გაალს** ის თვალში კი მოუვიდა, მაგრამ კლუში და ცქიტიშვილი პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. "ალკმაარი" მდიდარი არ არის. თანაც ჰოლანდიაში გადასახადები გაცილებით დიდია, ვიდრე საბერძნეთში. ცქიტიშვილი "პანიონიოსში" დაბრუნდა, მეორე წრეში ჩინებულადაც ათამაშდა, მაგრამ..

ტოპმიოლერს ალბათ აქტივში უნდა ჩაეთვალოს, რომ ცქიტიშვილს ზედმიწევნით სწორად გამოუძებნა ადგილი. მანამდე ლევანი თითქოს მარტო, თავისთვის იყო ნაკრებში და რამდენიმე ეპიზოდით თუ გვახსენებდა თავს. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს ნაკრებმა შინ უნგრეთს 3:1 რომ მოუგო, პირველი გოლი სწორედ ცქიტიშვილის საფეხბურთო ტრილერს მოჰყვა - მარჯვენა ფლანგზე მან რეტი დაასხა ორ მეტოქეს და შოთა არველაძეს ფაქტობრივად ცარიელ კარში გაატანინა. მაშინ **ალექსანდრე ჩივაძე** ცქიტიშვილს მარჯვენა ფლანგზე ათამაშებდა. იყო დრო, როცა ის ლიბეროც იყო თბილისის "დინამოში" - ფეხბურთელი, რომელსაც მხოლოდ ერთი "მუშა" ფეხი აქვს.

დაცვიდან ბურთის ამოტანა - უზადო ტექნიკოსს ცქიტიშვილს ეს დაავალა ტოპიმ და მიზანში ზუსტად მოარტყა. მან განსაკუთრებით კარგად ითამაშა იტალიასთან, გამორჩეული იყო გლაზგოში შოტლანდიასთან პირველ ტაიმში. დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება ცქიტიშვილის კოზირი ნაღდად არ არის, მაგრამ ტექნიკითა და გამოცდილებით ცქიტოს ამის კომპენსირება შეუძლია.

დრო კი ლომაიას და ცქიტიშვილის სასარგებლოდ არ მუშაობს. ნაკრების ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი უგუნდოდაა. უახლოესი მატჩი ეროვნულ გუნდს 22 აგვისტოს აქვს ლუქსემბურგთან და საინტერესოა, სად იქნებიან იმ დროისთვის ცქიტიშვილი და ლომაია.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

გერმანელი ქართველები ემზადებიან

ქვედა რიგში შუაში ალექსანდრე იაშვილი

გერმანიაში მორიგი სეზონისთვის ემზადებიან ქართველთა კლუბები. **ლევან კობიაშვილის** "შალკე" 15 ივლისის ჩათვლით ავსტრიულ ბად რადკერსბურგში იმყოფებოდა შეკრებაზე, სადაც სამი მატჩი გამართა. გერმანიაში დაბრუნებული "შალკე" დრეზდენს ეწვია, სადაც "დინამოს" ამხანაგურად გაეჯიბრა. **ჯერალდ ასამოას** გოლს მეორე ტაიმში **დავიდმა** უპასუხა - 1:1. მატჩს 12 ათასი მაყურებელი დაესწრო. პირველ ტაიმში ლევანმა საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა, მეორეში კი - მარცხენა მცველად. სხვათა შორის, მწვრთნელმა ორი ტაიმი მოედანზე მხოლოდ კობიაშვილი და **მატიას შიობერი** დატოვა. ეს "შალკეს" უკანასკნელი ტესტმატჩი იყო სეზონის წინ, 21 ივლისს, კლუბი გერმანიის ლიგის თასზე **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუეს" შეხვდება. "კარლსრუე" 18 ივლისამდე ტონბახში ემზადებოდა, თუმცა 15 ივლისის შემდეგ ტესტ-მატჩი არ გაუმართავს. იაშვილი და კომპანია ეგრევე "შალკესთან" მატჩში გამოიცდებიან.

სეზონისთვის ემზადებიან მეორე ბუნდესლიგის კლუბებიც. გასულ სეზონში "ფრაიბურგს" სულ ცოტა დააკლდა ბუნდესლიგაში აღზევებამდე, მას შემდეგ კლუბი **ფოლკერ ფინკემ** და ალექსანდრე იაშვილმა დატოვეს. "ფრაიბურგში" მხოლოდ ერთი ქართველია - **ოთარ ხიზანეიშვილი**. "ფრაიბურგი" ჯერ ავსტრიაში ემზადებოდა, შემდეგ კი - სამშობლოში, კლაინასპახში. ოთარის გუნდმა ლორის ბლიცტურნირში ითამაშა, სადაც ფინალში რეგიონალლიგის "როიტლინგენთან" 0:1 დამარცხდა. სხვათა შორის, ამ მატჩში "როიტლინგენის" შემადგენლობაში ქართველმა **მიხეილ საჯაიამ** ითამაშა. "ფრაიბურგის" სასტარტოში იყო ოთარ ხიზანეიშვილი.

დავით სირაძის "პადერბორნი" ტესტმატჩში "ლიუბეკს" 1:1 ეთამაშა, ქართველ ფორვარდს არ უთამაშია, რადგან ტრავმირებულია. "მიუნხენმა" ტესტმატჩში ბუნდესლიგის "არმინია" დაამარცხა - 1:0. **მათე ღვინიანიძემ** შეუცვლელად და უშეცდომოდ ითამაშა. ყველაზე ქართულმა გუნდმა გერმანიაში იენის "კარლ ცაისმა" "მაასტრიხტთან" 0:1 წააგო. კლუბის სამივე ქართველმა შეცვლაზე ითამაშა, **სეთურიძემ** და **კანდელაკმა** მთელი მეორე ტაიმი ითამაშეს, ხოლო **ონიანმა,** რომელსაც უკვე გაფორმებული აქვს კონტრაქტი, 63-ე წუთიდან. **რევაზ ბარაბაძე** სინჯავს, მას "მაასტრიხტთან" არ უთამაშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლევან ყენია

ყენიამ გერმანიის ვიზა მიიღო

როგორც იქნა **ლევან ყენიამ** ევროკავშირის ვიზა მიიღო და უახლოეს დღეებში გერმანიაში გაემგზავრება, სადაც გელზენკირხენის "შალკესთან" კონტრაქტი უნდა გააფორმოს. ეს სიახლე გუშინ თავად გვითხრა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის "ლოკომოტივის" 17 წლის ფლეიმეიკერი გერმანულ კლუბში ჯერ კიდევ მაისში გასინჯეს. მწვრთნელს მოეწონა და მისი დატოვება გადაწყვიტა. ერთადერთი პრობლემა ვიზა გახლდათ, რომლის მიღებასაც ლევანი ორი თვე ელოდა.

ყენია გერმანიაში შაბათს გაემგზავრება.

მერაბ მამულაშვილი

ფოფხაძემ სუპერლიგა უილბლოდ დაიწყო

ევროპაში კიდევ ერთი საფეხბურთო პირველობა დაიწყო, სადაც ქართველი ლეგიონერი თამაშობს - სტარტი დანიურმა სუპერლიგამ აიღო. **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი" "რანდერსს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. პირველ ტაიმში სტუმრებმა დაწინაურების შესანიშნავი შანსი გაუშვეს ხელიდან, როცა პენალტი ვერ გაიტანეს. 78-ე წუთზე მოედანზე **ტომას ანდის** ნაცვლად გიორგი ფოფხაძე გამოჩნდა. სამწუხაროდ, მატჩის დასრულებამდე "ვიბორგმა" ორი გოლი გაუშვა.

ნ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

რეისი 10 მილიონად?

რაც დრო გადის, "არსენალისა" და "რეალის" პოზიციები ერთმანეთს უახლოვდება. სამეფო კლუბს გასულ სეზონში ლონდონური გრანდიდან საიჯარო ხელშეკრულებით გადმობირებული **ხოსე ანტონიო რეისის** სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვა სურს. **პრედრაგ მიატოვიჩი** "მეთოფეებს" შვიდ მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ ბრიტანელებმა თანხა იცოტავეს. ამის შემდეგ მადრიდული გიგანტის გენერალურმა დირექტორმა პრეზიდენტთან კონსულტაცია გაიარა და "არსენალს" უკვე 10 მილიონი შეთავაზა. ლონდონურ კლუბთან დაახლოებული პირების თქმით, ახალი წინადადება საქმეს ძირფესვიანად ცვლის. კულუარული ინფორმაციით, "მეთოფეები" მზად არიან, ამ თანხის სანაცვლოდ რეისი "რეალს" მიყიდონ. თუ ასეა, გარიგებას უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ. აღსანიშნავია, რომ თავად ხოსე ანტონიო კარიერის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაგრძელების პერსპექტივით აღფრთოვანებას ღიად და დაუფარავად გამოხატავს.



ხოსე ანტონიო რეისი

რობენი მადრიდში დღე-დღეზე ჩავა

კალდერონი მზადაა ინიესტა 60 მილიონად იყიდოს

გუშინ BBC-იმ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანიის ცნობით, სამეფო კლუბის პრეზიდენტი, **რამონ კალდერონი არიენ რობენის** მენეჯერებს ხუთწლიან კონტრაქტზე გაურიგდა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჰოლანდიელი გარემარბი მადრიდში კვირის ბოლომდე ჩაფრინდება და სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ერთი სიტყვით, რობენი თანახმაა, თუმცა ჯერაც უცნობია, რა პოზიციაზეა "ჩელსის" ხელმძღვანელობა. არისტოკრატები 25.5 მილიონ ეფროს ითხოვენ. მაშინ, როცა ესპანური მხარე მხოლოდ 22 მილიონის გადახდას თანხმდება. თუ დათმობაზე არავინ წავა, ბუნებრივია, მხოლოდ კალდერონისა და რობენის სურვილით საქმე არ დასრულდება. აუცილებელია, **პრედრაგ მიატოვიჩმა პიტერ კენიონთან** ურთიერთობა გაარკვიოს. მიმომხილველთა ვარაუდით, "რეალისა" და "ჩელსის" მესვეურებს საერთო ენის გამონახვა აღარ გაუჭირდებათ. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი ან ორივე მხარე უკან დაიხევს.

ამასობაში, "დიარიო მარკაში" სენსაციური სტატია დაიბეჭდა. ცნობილია, რომ "არსენალმა" **სესკ ფაბრეგასთან** დაკავშირებით ყოველგვარი მოლაპარაკება შეწყვიტა. როგორც ჩანს, სენიორ კალდერონმა საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და ალტერნატიულ ვარიანტად, არც მეტი არც ნაკლები, **ანდრეს ინიესტას** ტრანსფერი მიიჩნია. მადრიდულ გაზეთს თუ დავუჯერებთ, "რეალის" პრეზიდენტმა "ბარსელონის" ნახევარმცველის შეძენის სურვილი კატალონიელებს ოფიციალურად განუცხადა. პასუხად კი მიიღო, რომ ინიესტა 60 მილიონი ევრო ღირს. დაუჯერებელია, მაგრამ "დიარიო მარკა" ასევე კატეგორიულად ამტკიცებს, კალდერონი მზადაა ეს თანხა გადაიხადოსო.



ჯონ ტერი

ჩელსი

131 ათასი კვირაში

ჩელსიმ ტერისა და ლემპარდს კონტრაქტები შეუთანხმა

გაზეთ "სანის" ინფორმაციით, ლონდონის "ჩელსის" კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** კლუბთან ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. მომავალი ხელშეკრულების თანახმად, ინგლისის ნაკრების ცენტრალური მცველი კვირაში 131 ათას ფუნტს მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტერი ინგლისის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ჯონის წლიური ხელფასი, ჯამში 6.8 მილიონი ფუნტი იქნება.

ახალი კონტრაქტი მომავალ კვირას გაფორმდება, როცა "არისტოკრატები" ამერიკიდან ინგლისში დაბრუნდებიან. შეგახსენებთ, რომ "ჩელსი" აშშ-ში ტურნეს მართავს. ლონდონელებმა ოკეანის გაღმა უკვე ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს და ორივე მინიმალური ანგარიშით მოიგეს - 2:1 დაამარცხეს მექსიკის "ამერიკა" (გამარჯვების გოლი ტერიმ გაიტანა) და 1:0 მოუგეს კორეის "სუვონს". შაბათს, "ჩელსი" "ლოს ანჯელეს გელაქსის" შეხვდება და სწორედ ამ მატჩში უნდა შედგეს ამერიკულ კლუბში **დევიდ ბექჰემის** დებიუტი.

სხვათა შორის, კორეელებთან მატჩში ტერიმ ტრავმა მიიღო. შეხვედრის შემდეგ ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ ლონდონელთა კაპიტანს მარჯვენა ფეხის ცერა თითი ჰქონია მოტეხილი. როგორც "გარდიანი" იტყობინება, დაზიანება სერიოზული არ არის და ტერი ტურნეს გაგრძელებას შეძლებს.

დავუბრუნდეთ "სანის" ინფორმაციას. გაზეთი იმასაც წერს, რომ "ჩელსი" თავისი კიდევ ერთი ლიდერის შენარჩუნებას შეძლებს. კლუბმა **ფრენკ ლემპარდთანაც** შეათანხმა მომავალი კონტრაქტის დეტალები და გაისად, ნახევარმცველი კვირაში 121 ათას ფუნტს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ წინა ხელშეკრულებით, ლემპარდის ხელფასი კვირაში 68 ათას ფუნტს შეადგენდა.

შემთხვევა

გრემიო დალუპვას გადაურჩა

თვითმფრინავი, რომლითაც კლუბს უნდა ემგზავრა სან პაულუში ჩამოვარდა

წლევანდელი ლიბერტადორესის თასის ფინალისტმა, ბრაზილიის "გრემიომ" კინაღამ "ტორინოს" (1949), "მანჩესტერ იუნაიტედისა" (1958) და ტაშკენტის "ფახთაქორის" (1979) ბედი გაიზიარა. თავის დროზე, ამ გუნდების ფეხბურთელები ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ.

"გრემიოს" მოთამაშეები სრულიად შემთხვევით არ ჩასხდნენ ლაინერში, რომელმაც სან პაულუში დაშვებისას კატასტროფა განიცადა, რასაც 200 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის **პაულუ პელაიპეს** განცხადებით, ამ თვითმფრინავით გამგზავრება კლუბმა ბოლო წამს გადაიფიქრა.

თავიდან, "გრემიოს" სწორედ ამ თვითმფრინავზე ჰქონდა შეკვეთილი ბილეთები და კლუბი სან პაულუში ჩასვლის შემდეგ, გადაჯდომით ბრაზილიის დედაქალაქში უნდა ჩასულიყო. სწორედ იქ ელოდა "გრემიოს" ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგი მატჩი "გოიასთან". მაგრამ გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სხვა ავიარეისით გამგზავრებულიყო ბრაზილიაში.

სავარაუდო ტრანსფერი

კარისო ლაციოს დარჩა?

რომაელები რივერის მეკარეში 7 მილიონს იხდიან

ევროპაში "რივერ პლეიტის" მეკარე **ხუან პაბლო კარისოზე** დიდი მოთხოვნილებაა. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ამ გოლკიპერით "მანჩესტერ იუნაიტედია" დაინტერესებული. მაგრამ, როგორც ჩანს, კარისო არა ინგლისში, არამედ იტალიაში გააგრძელებს კარიერას.

"რივერის" პრეზიდენტმა **ხოსე მარია აგილარმა** დაადასტურა კარისოთი "ლაციოს" დაინტერესება და ისიც აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში, ეს მეკარე 7 მილიონ ევროდ რომაულ კლუბში გადავა. სავარაუდოდ, 23 წლის კარისო "ლაციოსთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ტოტი ნაკრებიდან მიდის

დღეს, ფრანჩესკო ტოტი იტალიის ნაკრებიდან ნასვლის შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს. "რომას" კაპიტანმა "სკუადრა აძურადან" წასვლის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. ფეხბურთელს მიაჩნია, რომ მას უკვე აღარ შეუძლია სრული კონცენტრაცია მოახდინოს ნაკრებში თამაშზე და ამის ერთ-ერთ მიზეზად ის ოჯახს ასახელებს. ტოტის მეუღლე და ორი შვილი ჰყავს და მას უნდა, რომ საყვარელ ადამიანებთან უფრო მეტი დრო გაატაროს.

რომაელი სხვა მიზეზებზეც საუბრობს. კერძოდ, ტოტი ამბობს, რომ სერიოზული ტრავმის შემდეგ, მას ფსიქოლოგიური სახის პრობლემები შეექმნა. გარდა ამისა, "რომაში" თამაშისას, ის მუდმივ ზეწოლას განიცდის და სურს, რაც შეიძლება უკეთ ითამაშოს საკლუბო დონეზე.

ვიერი ფიორენტინაშია

"ატლანტადან" წასვლის შემდეგ, ვეტერანმა ფორვარდმა **კრისტიან ვიერიმ** ახალი კლუბი იპოვნა. იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი "ფიორენტინასთან" აწარმოებდა მოლაპარაკებებს და თანახმა იყო, ფლორენციაში მინიმალური ხელფასის სანაცვლოდ ეთამაშა.

საბოლოოდ, ვიერიმ "ფიორენტინასთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც მისი ხელფასი 1.5 მილიონი ევრო იქნება.

34 წლის ვიერის ახალ კლუბში "ბაიერნში" წასული ლუკა ტონის შეცვლა დაევალება.

პაპენი ჩინეთის ნაკრებში?

ლეგენდარული ფრანგი თავდამსხმელი **ჟან-პიერ პაპენი,** შესაძლოა ჩინეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ჩინელთა ამჟამინდელი დამრიგებელი **ჩჟუ გუანჰუ** დიდხანს ვერ შეინარჩუნებს თავის პოსტს. ორი დღის წინათ, აზიის თასის გათამაშებაში, ჩინეთმა ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის მატჩი უზბეკეთთან 0:3 წააგო და ტურნირს გამოეთიშა. ამიტომაც, ამ მწვრთნელს მალე გაათავისუფლებენ თანამდებობიდან.

შეგახსენებთ, რომ შარშან პაპენმა "სტრასბური" საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში დააბრუნა, მაგრამ კლუბი ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო დატოვა.

პანდიანი ოსასუნაში წავიდა

31 წლის ურუგვაელმა ფორვარდმა **ვალტერ პანდიანიმ** კიდევ ერთხელ გამოიცვალა კლუბი. "ესპანიოლის" ან უკვე ყოფილი თავდამსხმელი, მომავალ სამ სეზონს "ოსასუნაში" გაატარებს - იუწყება პამპლონური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი.

პანდიანი ამ ზაფხულს, "ოსასუნას" მეოთხე ახალი ფეხბურთელი გახდა. მანამდე ამ კლუბმა **ხავიერ პორტილიო, ხავიერ მარგარაისი** და **უგო ვიანა** აიყვანა.

ჩეხეთი ფინალშია

კანადაში მიმდინარე 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ფინალისტი გამოვლინდა. ჩეხეთის ნაკრებმა იოლად, 2:0 მოუგო ავსტრიას და გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა.

გოლები **მიჩოლამ** (მე-4 წუთი) და **ფენინმა** (15) გაიტანეს.

მეორე ფინალისტი გუშინ, გვიან ღამით უნდა გამოვლენილიყო. სამხრეთამერიკულ დაპირისპირებაში ერთმანეთს არგენტინისა და ჩილეს ნაკრებები ხვდებოდნენ.

სიტმა ვასელი არ გაუშვა

"მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობამ უარით გაისტუმრა თურქული "ბეშიქთაშის" მესვეურები, რომლებსაც "სიტიდან" ფორვარდ **დარიუს ვასელის** გადაბირება ჰქონდათ განზრახული.

"ჩვენ ვადასტურებთ, რომ "ბეშიქთაშიდან" ოფიციალური წინადადება მივიღეთ ვასელის ტრანსფერთან დაკავშირებით. მაგრამ დარიუსი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. მომავალ სეზონში მისი დიდი იმედი გვაქვს და ამიტომაც, თურქების წინადადებაზე უარი განვაცხადეთ", - წერია "სიტის" ოფიციალურ განცხადებაში.

პიენაარი ევერტონს მიუახლოვდა

სავარაუდოდ, მომავალი სეზონისთვის "ევერტონი" კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდება. ლივერპულურმა კლუბმა თითქმის მიაღწია დორტმუნდის "ბორუსიასთან" შეთანხმებას **სტივენ პიენაარის** ტრანსფერის თაობაზე.

"ევერტონი" სამხრეთაფრიკელ ფეხბურთელს უახლოეს დღეებში გაიფორმებს. შეგახსენებთ, რომ "დორტმუნდამდე" პიენაარი "აიაქსში" თამაშობდა.

კუტუზოვი პიზას ათხოვეს

"პარმას" ბელარუსი ფორვარდი **ვიტალი კუტუზოვი,** მომავალ წელს "პიზაში" ითამაშებს. ეს გუნდი სერია B-ს ბინადარი გახლავთ.

27 წლის ფეხბურთელი "პიზაში" არენდით წესით გადავიდა და მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ, ამ გუნდს კუტუზოვის კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება ექნება.

მასკერანო აზიაში არ წავა

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა **რაფაელ ბენიტესმა** განაცხადა, რომ აზიაში დაგეგმილ წინასასეზონო ტურნეში არ წაიყვანს არგენტინელ ნახევარმცველ **ხავიერ მასკერანოს**. ამ უკანასკნელმა კოპა ამერიკაზე იასპარეზა და ამიტომაც, კლუბმა მას დასვენების საშუალება მისცა.

"მასკერანო ინგლისში დარჩება. თავიდან ის 10-დღიან შვებულებას მიიღებს, შემდეგ კი, ახალი სეზონისთვის მზადებას სარეზერვო გუნდთან ერთად დაიწყებს", - ამბობს ესპანელი სპეციალისტი.

პანათინაიკოსმა ბრაზილიელი დაიმატა

საბერძნეთის "პანათინაიკოსმა" ბრაზილიელი ფეხბურთელით გააძლიერა შემადგენლობა. კერძოდ, "პაომ" "კორინთიანსიდან" 2.3 მილიონ ევროდ შეიძინა საყრდენი ნახევარმცველი **მარსელო მატოსი** და მას ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

23 წლის ფეხბურთელი, ამ სეზონის წინ ათენური კლუბის მეექვსე ახალბედა გახდა.

მათუსალემი ლა რომარედაზე

"სარაგოსა" შემადგენლობის გაძლიერებას განაგრძობს. არაგონული კლუბის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, დონეცკის "შახტარის" ნახევარმცველმა, **მათუსალემმა** "სარაგოსასთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სამწუხაროდ, გარიგების დეტალები ჯერჯერობით, არ ხმაურდება, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ 27 წლის ბრაზილიელი სარაგოსაში უახლოეს დღეებში ჩავა და საზოგადოებას იმავე საღამოს წარუდგება.

მეხია მურსიაში ჩაირიცხა

პრიმერა დივიზიონში დაბრუნებულმა "მურსიამ" სერიოზულ სატრანსფერო წარმატებას მიაღწია. ანდალუსიელებმა გუშინ მადრიდის "რეალიდან" **ალვარო მეხია** გადაიბირეს. სამეფო კლუბის კანტერის აღზრდილი ახალ გუნდში მომდევნო სამ სეზონს გაატარებს. დედაქალაქელები სანაცვლოდ, მხოლოდ და მხოლოდ, ორ მილიონ ევროს მიიღებენ.

ოდემვინგი ლოკომოტივს ერგო

რუსულ კლუბებს დიდი ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული "ლილის" ნიგერიელ თავდამსხმელ **პიტერ ოდემვინგიზე**. "ლოკომოტივი", "სპარტაკი" და ცსკა, დონეცკის "შახტიორთან" ერთად, ერთდროულად ცდილობდნენ ამ ფეხბურთელის გადაბირებას.

საბოლოოდ, ყველაზე მარიფათიანი რკინიგზელთა გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც ოდემვინგის სხვებზე უკეთესი პირობები შესთავაზა და ეს უკანასკნელიც, ზაფხულიდან ჩვენებური **მალხაზ ასათიანის** თანაგუნდელი გახდება.

რეკრეატივომ პერსპექტიული ფორვარდი ითხოვა

გაზეთ "მარკას" ინფორმაციით, "ვილიარეალმა" ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **გარსია მარკოსი** ერთი სეზონით "რეკრეატივოს" ათხოვა.

გასულ სეზონში, 20 წლის ფორვარდმა ესპანეთის ჩემპიონატის 29 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა.

ფლოკარი ატალანტაში გადავიდა

ბერგამოს "ატალანტამ" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **სერჯო ფლოკარისთან**, რომელიც აქამდე სერია A-დან გავარდნილ "მესინაში" თამაშობდა.

ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. ფლოკარი "მესინაში" 2005 წელს ჩაირიცხა და იქედან მოყოლებული, 45 მატჩში 5 გოლის გატანა შეძლო.

ლიონს როტენი უნდა

საფრანგეთის ჩემპიონი "ლიონი" მოლაპარაკებებს აწარმოებს "პარი სენ-ჟერმენთან". ლიონელებს დედაქალაქური გუნდიდან საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის, **ჯერომ როტენის** შეძენა სურთ.

ამ ფეხბურთელს სეზონის ბოლოს ეწურება კონტრაქტი პსჟ-სთან, რაც შეეხება მოლაპარაკებებს, მან ჯერ შედეგი ვერ მოიტანა.

ვენესუელას მუნდიალიც მოუნდა

კოპა ამერიკას მასპინძელ ვენესუელას ახალი მიზნები აქვს. როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი **უგო ჩავესი** აცხადებს, ვენესუელა 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის იწყებს ბრძოლას.

ფიფას როტაციის სისტემის მიხედვით, 2014 წელს მუნდიალის მასპინძლობა სამხრეთ ამერიკას უწევს და აქამდე, ამ კონტინენტიდან ერთადერთი კანდიდატი ბრაზილია იყო, ახლა კი, ვენესუელა აპირებს მასთან შებრძოლებას.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვენესუელას ამ ბრძოლაში გამარჯვების თეიორიული შანსი აქვს, ვინაიდან სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელთა განცხადებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებას ბრაზილიას მიანიჭებს.

ნუნუ გომეშს იტალიაში წასვლა სურს

"ბენფიკას" ვეტერანმა ფორვარდმა **ნუნუ გომეშმა** "ლევანტესა" და "გალათასარაის" წინადადებებზე უარი განაცხადა. როგორც აღმოჩნდა, ფეხბურთელის მიზანი იტალიაში გამგზავრება ყოფილა და სხვათა შორის, პორტუგალიის ნაკრების ფორვარდს აპენინებიდან რამდენიმე შემოთავაზებაც ჰქონია.

იტალიური პრესის ცნობით, ეს კლუბებია - "ლაციო", "ნაპოლი" და "რეჯინა".

მაქსი ატლეტიკოს კაპიტანი გახდა

"ლივერპულში" **ფერნანდო ტორესის** გადასვლის შემდეგ, მადრიდის "ატლეტიკოში" ახალი კაპიტნის საკითხი დადგა დღის წესრიგში. კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, ეს საპატიო მისია მადრიდული კლუბის არგენტინელმა ლეგიონერმა **მაქსი როდრიგესმა** ჩაიბარა.

როდრიგესი კაპიტნის სამკლაურით პირველად გუნდს მოედანზე შაბათს გაიყვანს, როცა "ატლეტიკო" ინტერტოტოს თასზე რუმინეთის "გლორიას" შეხვდება.

ბოგოგო არენდით ნიცაში ითამაშებს

"მარსელის" ფორვარდი **ჰაბიბ ბამოგო** ერთი წლით არენდით "ნიცაში" გადავიდა.

ამ თავდამსხმელმა შარშანდელი სეზონი, ასევე არენდით ვიგოს "სელტაში" გაატარა და შემდეგ "მარსელში" დაბრუნდა, მაგრამ "ოლიმპიკმა" კვლავ მისი გასხვისება მოინდომა.

ხელშეკრულების პირობა ისეთია, რომ მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ, "ნიცას" ბამოგოს კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება ექნება.

შარშან, პრიმერაში ბამოგომ 15 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

მონაკო კასტელენს უმიზნებს

როტერდამის "ფეიენოორდის" მარჯვენა ნახევარმცველი **რომეო კასტელენი** უახლოეს ხანში, სავარაუდოდ "მონაკოს" შემადგენლობას გააძლიერებს. ამ ჰოლანდიელი ფეხბურთელით დაინტერესებას "პარი სენ-ჟერმენიც" გამოხატავს.

კალსტრიომი სევილიაში?

უეფას თასის მფლობელი "სევილია" "ლიონთან" აწარმოებს მოლაპარაკებას შვედი ნახევარმცველის, **კიმ კალსტრიომის** თაობაზე.

შარშან ამ ფეხბურთელით "ვალენსია" იყო დაინტერესებული, მაგრამ კალსტრიომმა "ლიონში" არჩია კარიერის გაგრძელება. ახლა კი, შვედს "სევილია" ეპატიჟება, თუმცა ესპანური პრესა არაფერს იუწყება იმის შესახებ, რამდენად დიდია ამ ტრანსფერის განხორციელების ალბათობა.

კუელარი ბილბაოში დაბრუნდა

დავიდ კუელარი პრიმერადან გავარდნილი "ხიმნასტიკის" რიგებს ტოვებს და "ბილბაოში" ბრუნდება. ბასკურ კლუბთან ფორვარდმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ხუთი წლის წინათ, კუელარი "ბილბაოდან" სათამაშო პრაქტიკის საძებნელად სხვა კლუბში წავიდა. მან "ელჩეში" თამაში მოასწრო, 2004 წელს კი, "ხიმნასტიკში" გადაბარგდა. გასულ სეზონში თავდამსხმელმა 28 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

ტიაგო და ფერნანდო მეირა

შტუტგარტი

იუვე მეირას არ ეშვება!

შვაბების კაპიტანს ტურინში თანამემამულე ტიაგო ეპატიჟება...

თვითონ არაფერს ამბობს, სხვები მხოლოდ მასზე საუბრობენ... მხედველობაში გერმანიის ჩემპიონ „შტუტგარტის" კაპიტანი, პორტუგალიელი მცველი **ფერნანდო მეირა** გვყავს. 29 წლის უკანახაზელმა ამას წინათ თქვა, "შტუტგარტში" თავს ბედნიერად ვგრძნობო, მაგრამ როგორც ირკვევა, ცრუობს. ცნობილია, რომ მას „იუვენტუსი" ეპატიჟება. მიუხედავად იმისა, რომ VFB-ს ხელმძღვანელებმა ტურინელ კოლეგებს უარი არაერთგზის შეუთვალეს, როგორც ჩანს, „ბებერი ქალბატონი" მეირას არ ეშვება.

აი, რა განუცხადა იტალიელ ჟურნალისტებს მისმა თანამემამულე **ტიაგომ**, რომელიც "იუვეში" „ლიონიდან" გადავიდა: *„ფერნანდოს ყოველდღე ვურეკავ და ვეუბნები, რომ "იუვეში" გადმოვიდეს. მითხრა, ნამდვილად არის იმის შანსი, რომ ეს ტრანსფერი როგორმე გამოვიდესო."* ეს ის სიტყვებია, „შტუტგარტის" მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** ძალიან რომ არ ესიამოვნება, რადგან სწორედ ჰელდტია ის კაცი, ვინც „იუვენტუსს" ფიფა-უეფაში ჩივილით დაემუქრა. *„არ ვიცი და არც მაინტერესებს, რაზე საუბრობენ მეირა და ტიაგო. იქნებ უბრალოდ უნდათ, რომ ტურინში ერთად ივახშმონ? –* გააფთრებულია ჰელდტი, *- მეირას ტურინში გადასვლა გამორიცხულია, ამას პირადად მე გამოვრიცხავ. ფერნანდო არ იყიდება!"*

„კიკერის" ინფორმაციით, „იუვეს" ბოსებს სულაც არ აინტერესებთ, რას ამბობს ჰელდტი და ამ უკანასკნელსაც სწორედ ეს აგიჟებს. ფაქტია, რომ ტურინელები უფრო ინტენსიურად ცდილობენ პორტუგალიელი მცველის დაყოლიებას და ცნობილი გახდა, რომ მის მრჩეველთან უკვე ანარმოებენ მოლაპარაკებებს. ამ ყველაფერს კი ისიც ემატება, რომ „იუვეში" წასვლა თვითონ ფეხბურთელსაც ძალიან უნდა. ასე რომ არ იყოს, „იუვენტუსს" დიდი ხნის წინათ ეტყოდა უარს. ფერნანდოს ტიაგოს გარდა „იუვეს" კიდევ ერთი პორტუგალიელი ახალწვეული, მცველი **ჟორჟე ანდრადეც** ხშირად ესაუბრება, რომელსაც ძალიან უნდა, რომ ახალ გუნდში მისი მეწყვილე სწორედ მეირა იყოს. ფაქტი ის გახლავთ, რომ მას მერე, რაც ჰელდტი „იუვენტუსს" ფიფაში ჩივილით დაემუქრა, ტურინელებმა შვაბებს ოფიციუალური წინადადებით მიმართეს, მაგრამ უარი მიიღეს და მიუხედავად ამისა, ფეხბურთელთან მოლაპარაკებებს მაინც აგრძელებენ.

ბაიერნი

შვაინი: სინათლე გვირაბის ბოლოს

ულამაზესი გოლი გლადბახთან, ბასტიანი სწორ გზას ადგას...

ფრანკ რიბერისა და **ხოსე ერნესტო სოსას** შეძენის გამო, **ბასტიან შვაინშტაიგერის** მდგომარეობა რომ დამძიმდა, ამაზე არაერთხელ ვწერდით. თანაც, "ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი ტრავმირებული გახლდათ და კიდევ კარგი, რომ ობობის ნაკბენი არ გაუმიზეზდა, თორემ მის კარიერას საფრთხე ემუქრებოდა. აკი რეკორდმაისტერის ექიმებიც ამბობდნენ, ინფექცია მძიმე რომ აღმოჩნდეს, გამორიცხული არ არის, რომ შვაინიმ ფეხბურთი საერთოდ ვეღარ ითამაშოსო. ეს კი, **სებასტიან დაისლერის** შემთხვევის შემდეგ, რომელიც, სხვათა შორის, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ, "ზებენერშტრასეზე" ჯერ კიდევ არ გამოჩენილა, "ბაიერნისთვის" მორიგი უდიდესი დარტყმა იქნებოდა. მაგრამ კარგია ყველაფერი ის, რაც კარგად მთავრდება: შვაინშტაიგერმა სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და უკვე ორ ამხანაგურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ბასტიანმა ოთხშაბათს თქვა, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ოპტიმისტურად ვარ განწყობილიო. იმავე დღეს მან დაამტკიცა, რომ თავს მართლაც ძალიან კარგად გრძნობს.

მართალია, მიუნხენური გიგანტი მიონხენგლადბახის "ბორუსიასთან" კლასიკურ დუელში 1:2 დამარცხდა, მაგრამ **ოტმარ ჰიტცფელდმა** ამ თამაშში უფრო მეტი პოზიტიური ფაქტორი დალანდა, ვიდრე ნეგატიური. შვაინშტაიგერის შესანიშნავი გოლი კი, შეხვედრისა და დღის ჰაილაითად იქცა: შვაინიმ გოლი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. *"შესანიშნავი დღე გამოვიდა, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს სტადიონზე პირველად გავედი. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა მქონდა, არცერთ ორთაბრძოლას არ მოვერიდე. ვფიქრობ, კარგად ვითამაშე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კიდევ უნდა მოვუმატო,"* - განაცხადა ბასტიანმა ნამატჩევს. კვირას, "ალბშტადტთან" მატჩში, რომელშიც **ლუკა ტონი** დაშავდა, მან სულაც დუბლი შეასრულა და ახლა უკვე ცხადია, რომ შვაინი სწორ გზას ადგას.

მსოფლიოს ჩემპიონატზე დატოვებული შესანიშნავი შთაბეჭდილების შემდეგ, მას ძალიან მძიმე სეზონი ჰქონდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუნდიალის შემდეგ ჩავარდნა დაეწყო და იმედები ვერ გაამართლა, რის გამოც ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან რეგულარულად კრიტიკას იმსახურებდა. და რაც მნიშვნელოვანია, მას არა მხოლოდ ჟურნალისტები, არამედ გუნდის ხელმძღვანელებიც აკრიტიკებდნენ. სეზონის ბოლოს კი ობობის ორი წლის წინანდელი ნაკბენი გაუმიზეზდა და რაც მერე მოხდა, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. დღეს კი, მუხლი ოდნავადაც აღარ აწუხებს და გამალებით ემზადება სეზონისთვის, რომელიც მისთვის გაცილებით მძიმე იქნება, ვიდრე წინა.

წინდაწინვე ცნობილია, რომ რეკორდმაისტერში მის პოზიციაზე ფრანკ რიბერი ითამაშებს. თუ ფრანგი ნახევარმცველი ჯანმრთელად იქნება, შვაინშტაიგერს "ბაიერნის" მარცხენა ფლანგის ჩაბარების შანსი არ ექნება. ჰიტცფელდი ადგილს სავარაუდოდ, მარჯვენა ფლანგზე მიუჩენს, ოღონდ დღევანდელი მდგომარეობით, შვაინიზე უკეთესი თამაშის შანსი სოსას აქვს - ფეხბურთელს, რომელშიც მიუნხენელებმა 10 მილიონი ევრო გადაიხადეს. მაგრამ სოსა ჯერჯერობით ტრავმირებულია და სანამ ეს ასეა, შვაინის ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობა განაღდებული აქვს. ოღონდ, რაკი ტრავმა ჯერ ბოლომდე მაინც არ მოუშუშებია, ხვალ გერმანიის ლიგის თასზე, "ვერდერთან", ბასტიანის სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენას არ უნდა ველოდოთ - დიუსელდორფში "ბაიერნის" მარჯვენა ფლანგს ალბათ, **ჰამით ალთინთოფი** ჩაიბარებს.

ბასტიან შვაინშტაიგერი

"თუკი საუკეთესო ფორმაში ვიქნები და თავს არ დავზოგავ, დარწმუნებული გახლავართ, რომ მუდმივად ვითამაშებ. მეც სწორედ ამის იმედი მაქვს," - ამბობს შვაინი, რომელსაც ხმაურიანი ტრანსფერების გამო, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის სერიოზული საფრთხე დაემუქრა. არადა, წინ ევროპის ჩემპიონატია და მასაც, ისევე, როგორც **ლუკას პოდოლსკის**, სწორედ ახლა სჭირდება პრაქტიკა.

ოფიციალურ შეხვედრაში ბოლოს აპრილში ითამაშა, მომდევნოს კი აგვისტოსთვის მოიაზრებს. *"ახლა მთავარია, რომ ფორმა სრულად აღვიდგინო და ტრავმა 100 პროცენტით მოვიშუშო. ვფიქრობ, 6 აგვისტოს, გერმანიის თასის პირველ ეტაპზე, "ბურგჰაუზენთან" აუცილებლად ვითამაშებ,"* - ამბობს შვაინშტაიგერი და იქვე ამატებს, გამორიცხული არაა, რომ მოედანს უფრო ადრეც, მაგალითად, ლიგის თასის ფინალში, ან ნახევარფინალში (თუ "ბაიერნმა" "ვერდერის" ბარიერი დაძლია) დავუბრუნდეო.

გოტფრიდ ლენცი

შალკე

რიკელმე არ გამოდის

ლევან კობიაშვილის "შალკემ" **ხუან რომან რიკელმეზე** ხელი ჩაიქნია. პირველ რიგში იმის გამო, რომ არგენტინელი ფლეიმეიქერი ძალიან ძვირია და ესეც არ იყოს, "აღბისელესტეს" დირიჟორს "ბოკა ხუნიორსში" დარჩენა სურს. ამრიგად, გუშინ გელზენკირხენული კლუბის პრეზიდენტმა **იოზეფ შნუზენბერგმა** არგენტინელის საქმე დახურულად გამოაცხადა. აი, **სტეფან აპიას** გადაბირების სურვილი კი, "შალკეს" ბოსებს ჯერ არ დაუკაგრავთ. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** განელ ნახევარმცველს ახალი, გაუმჯობესებული წინადადებით მიმართა და მისგან თანხმობის მიღების იმედი აქვს. როგორც იცით, აპიას გუნდის გამოცვლა უნდა, მაგრამ დიდ ხელფასს ითხოვს, რის გამოც "შალკეში" ტრანსფერი კინაღამ ჩაიშალა. მოკლედ, მოლაპარაკებები გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიეგო ფორლანთან

მოგწონთ თუ არა, ჭორესი არ ვარ!

როხიბლანკოს ახალწვეული მომავალს იმედიანად უყურებს და ფიქრობს, რომ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებს

დიეგო ფორლანი "ატლეტიკოს" სრულუფლებიანი წევრი გახდა. კოპა ამერიკის დასრულების შემდეგ ის დაუყოვნებლივ მადრიდში ჩაფრინდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტი გააფორმა. ესპანური კლუბის ხელმძღვანელებმა ურუგვაელ ფორვარდს პომპეზური პრეზენტაცია მოუწყვეს. ტრადიციული ღონისძიებების შემდეგ, დიეგომ ჟურნალისტებისთვის მოიცალა და საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

- უეფას თასზე გასული "ვილიარეალი" "ატლეტიკოზე" გაცვალეთ. თქვენი ახალი კლუბი მხოლოდ და მხოლოდ ინტერტოტოზე იასპარეზებს. რატომ გადადგით ეს ნაბიჯი?

- უკვე მესამე ზაფხულია, რაც "ატლეტიკომ" თანამშრომლობა შემომთავაზა. "როხიბლანკო" ძალიან დიდი ამბიციების მქონე კლუბია. ყოველთვის მინდოდა, ასეთ კოლექტივში მეთამაშა. უეფას თასს რაც შეეხება, ინტერტოტო ამ ტურნირზე ასპარეზობის შესანიშნავ შანსს გვაძლევს. უბრალოდ, დამატებით რამდენიმე მატჩის ჩატარება გვმართებს. თუ ვიყოჩაღებთ და ბოლომდე გავალთ, უეფახ თასის საგზურსაც დავეუფლებით.

- ცნობილია, რომ არაერთი ძლიერი კლუბი გეპატიჟებოდათ. მაინც, რა ნიშნით აირჩიეთ სწორედ "ატლეტიკო"?

- ამ გუნდს უდიდესი ისტორია აქვს. მადრიდელთა დაინტერესება ჩემთვის დიდი გამონვევა გახლდათ. უფლება არ მქონდა, უკან დამეხია და ის არ მიმეღო. ვერ გეტყვით, მომავალ სეზონში რა შედეგებს მივაღწევთ, მაგრამ დღესვე შემიძლია პირობა მოგცეთ, რომ პირადად მე თავს არ დავზოგავ და ყოველ შეხვედრაში ბოლომდე დავიხარჯები. მოკლედ, დიეგო ფორლანი შესაძლებლობების 100 პროცენტით გამომჟღავნებას შეეცდება. დანარჩენი კი თქვენი საქმეა. შეფასებები გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა უნდა შემოგვთავაზოთ.

- მომავალ სეზონში თქვენგან ისეთივე თამაშს მოითხოვენ, როგორც ფერნანდო ტორესი თამაშობდა. როგორ გგონიათ, ასეთი პარალელები ხელს არ შეგიშლით?

- მესმის, რატომაც გაავლებენ ასეთ პარალელებს. ტორესი "ატლეტიკოს" ფანების ნამდვილი კერპი იყო, მაგრამ ის "ლივერპულში" წავიდა. ვაკანსია კი კლუბის ხელმძღვანელობამ ჩემით შეავსო. ბუნებრივია, ჩვენ ერთმანეთს ხშირად შეგვადარებენ. ზოგადად ეს არ არის კარგი, მაგრამ მერწმუნეთ, ძალაინ მშვიდად ვგრძნობ თავს და ეჭვი არ მეპარება, პრობლემები არ შემექმნება.მე და ტორესი განსხვავებული სტილისა და შესაძლებლობების ფეხბურთელები ვართ. ჩვენი ადგილსამყოფელიც განსხვავებულია, ასე რომ, დიეგო ფორლანს საკუთარი საქმე აქვს გასაკეთებელი.

- ასეა თუ ისე, "ატლეტიკოს" ფორვარდობით უდიდესი პასუხისმგებლობა დაგაწვებათ. ამ სიმძიმის ხომ არ გეშინიათ?

- მოგწონთ თუ არა, ტორესი არ ვარ! მას შემდეგ, რაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, პასუხისმგებლობის ერთხელაც არ შემშინებია. პირიქით, პასუხისმგებლობა, დაძაბულობა, კონკურენცია და გამარჯვებებისადმი ლტოლვა ფეხბურთის თამაშის სურვილს მიძლიერებს. მარტივად რომ ვთქვა, ამ ყველაფრის გარეშე ჩემი საქმით სიამოვნებას ვერ მივიღებდი. ხოლო თუ ფეხბურთი სიამოვნებას არ განიჭებს, მისით არ ერთობი, წარმატებებს ვერ მიაღწევ.

- მართალია, რომ რიკელმეს დაურეკეთ და "ატლეტიკოში" გადმოსვლა ურჩიეთ?

- არა, ეს ტყუილია. მას უბრალოდ, მოკლე ტექსტური შეტყობინება გავუგზავნე. "ატლეტიკო" არც კი მიხსენებია. მხოლოდ კოპა ამერიკაზე გავცვალეთ აზრები და ერთმანეთს წარმატებები ვუსურვეთ. ხუან რომანი დიდი ფეხბურთელია. ეს ამბავი მან ვენესუელის სტადიონებზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

- ხომ არ გაგვიმხელთ მომავალ სეზონში რამდენი გოლის გატანას ელით? თუ ასეთი სახის პროგნოზები არ გხიბლავთ?

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ საუკეთესო თვისებების გამომჟღავნებას შევეცდები. ღმერთმა ქნას, ბევრი გოლის გატანა მოვახერხო, მაგრამ კონკრეტულ ციფრს ვერ დაგისახელებთ. ძალიან მინდა, გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო. ჩემი საქმე მხოლოდ გოლებით არ შემოიფარგლება. ვფიქრობ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება, თანაგუნდელებს კარგი პასებით შევუწყო ხელი. მოკლედ, გუნდის სრულფასოვანი წევრი უნდა გავხდე.

- აგირესთან შვებულების თაობაზე ხომ არ გისაუბრიათ? ალბათ, ინტერტოტოს პირველ შეხვედრაში ვერ იასპარეზებთ...

- დიახ, უკვე ვილაპარაკეთ. მთავარმა მწვრთნელმა უფლება მომცა, ცოტა დავისვენო. პრიმერა დივიზიონმა და კოპა ამერიკამ ძალიან დამღალა. გასაკვირი არ არის, რომ ახლა ყველაზე მეტად შვებულება მჭირდება (იცინის).

- უკვე იცით, რომელნომრიანი მაისურით იასპარეზებთ?

- არა, ჯერ არ ამირჩევია. მალე გავარკვევ, რომელი ნომერი მერგება.

დიეგო ფორლანი

- პრიმერა დივიზიონში პირველივე შეხვედრას "რეალთან" გამართავთ. დიდებული დასაწყისია, არა?

- რა თქმა უნდა. იმედია, ამ შეხვედრისთვის საუკეთესოდ მოვემზადებით. მნიშვნელოვანია, რომ მენტალური თვალსაზრისით, პრობლემები არ შეგვექმნეს. მადრიდული დერბი ყოველთვის ლამაზ სანახაობასთან ასოცირდება. შეუძლებელია, გამარჯვებისადმი განსაკუთრებული ლტოლვა არ გაგიჩნდეს. ამავდროულად, უნდა გვესმოდეს, რომ ურთულესი მატჩი იქნება, ჩვენთვისაც და მათთვისაც.

- "როხიბლანკოს" ხელმძღვანელობა მომავალ სეზონში რა მიზნებს ისახავს?

- პრიმერა დივიზიონში რაც შეიძლება მაღალი ადგილი უნდა დავიკავოთ. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება ჩინებული შედეგი იქნება. სხვათა შორის, ჩემპიონობასაც არ გამოვრიცხავ...

- როგორ ფიქრობთ, შეძლებს "ატლეტიკო" ამ ამოცანების გადაჭრას?

- დასახული ამოცანების გადაჭრა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევძლოთ. რა თქმა უნდა, ყველა აცნობიერებს, რომ უამრავი სირთულე შეგვექმნება, რადგან სეზონი ძალიან ხანგრძლივია და კონკურენციაც უაღრესად დიდია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. იმედია, სეზონის დასკვნით ნაწილში ერთ-ერთი ფავორიტი ვიქნებით.

მიქაელ ლაუდრუპი

ინტერვიუ მიქაელ ლაუდრუპთან

საუკეთესო ევროპულ ლიგაში დავბრუნდი

ლეგენდარული დანიელი გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ "ხეტაფე" მომავალ სეზონში ლამაზ და უშიშარ ფეხბურთს ითამაშებს მიქაელ ლაუდრუპი ესპანეთში 11-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. ამჯერად პირნეებზე ის, რა თქმა უნდა, მწვრთნელის რანგში იმოღვაწეებს. როგორც იცით, ლეგენდარული დანიელი ეს ესაა "ხეტაფეს" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ლაუდრუპი მადრიდული კლუბის გულშემატკივრებს ლამაზ ფეხბურთსა და ამბიციური მიზნებისთვის თავდაუზოგავ ბრძოლას ჰპირდება. პრეზიდენტმა, ანხელ ტორესმა "ბრონდბიუში" მისი მუშაობა უაღრესად დადებითად შეაფასა და დანიელი ესპანეთში დიდი იმედებით ჩაიყვანა. სენიორ ტორესი იტორიული სეზონის მოლოდინშია...

- "ხეტაფეში" თქვენამდე კიკე სანჩეს ფლორესი და ბერნდ შუსტერი მუშაობდნენ. ახლა ერთი "ვალენსიის" თავკაცია, მეორე კი მადრიდის "რეალში" დაინიშნა. მათი გამოცდილება თავბრუს ხომ არ გახვევთ?

- პირველ ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ფლორესმა და შუსტერმა ამ კლუბში უდიდესი სამუშაო შეასრულეს. "ხეტაფე" მათ ყველასთვის ანგარიშგასაწევ გუნდად აქციეს. ანხელ ტორესის წინადადებას ერთი გარემოების გამო დავთანხმდი: მართალია, "ხეტაფე" პრიმერა დივიზიონში დიდი ხანია არ ასპარეზობს, მაგრამ ზრდა და პროგრესი მას არასოდეს შეუწყვიტავს. კიკე ფლორესმა ფუნდამენტი ჩაყარა, ჰერ ბერნდმა კი გუნდი ესპანეთის სამეფო თასის ფინალამდე მიიყვანა. განა ეს უდიდესი წარმატება არ არის? რაც მთავარია, "ხეტაფე" ორივე მწვრთნელის ხელში იმ ულამაზეს ფეხბურთს თამაშობდა, რომელიც გულშემატკივრების აბსოლუტურ უმრავლესობას ხიბლავს და სტადიონზე მისვლის ხალისს უძლიერებს. მომავალ სეზონში ჩვენს კლუბს კიდევ უფრო სერიოზული გამოცდების ჩაბარება მოუწევს. უეფას თასისა და ევროპის ჩემპიონატის გამო, შედარებით მცირე დროში მრავალი მატჩის გამართვა მოგვიწევს. ვფიქრობ, შემადგენლობა უნდა გაძლიერდეს, თუმცა არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი თვალსაზრისით.

- შუსტერის სამეფო კლუბში ნასვლაზე რას გვეტყვით? უდავო ფაქტია, რომ "ხეტაფე" მისი ორი მწვრთნელისთვის შესანიშნავი ტრამპლინი აღმოჩნდა...

- როგორც ვამჩნევ, გაინტერესებთ, მეც ხომ არ ვფიქრობ "ხეტაფეს" ტრამპლინად გამოყენებაზე. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამ თემაზე საუბარი ჩემი მხრივ არადელიკატური საქციელი იქნება? სენიორ ტორესმა უდიდესი ნდობა გამომიცხადა და ვალდებული გახლავართ, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემს გუნდზე ვიფიქრო. მით უმეტეს, უაღრესად კმაყოფილი გახლავართ. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ საუკეთესო ევროპულ ლიგაში დავბრუნდი. ბევრს მიაჩნია, რომ ყველას პრემიერლიგა სჯობს, თუმცა პირადად მე მიმაჩნია, რომ პრიმერა დივიზიონს არაფერი შეედრება.

- ლაუდრუპი გულშემატკივრებს ახლაც ლამაზ ფეხბურთს ჰპირდება? იმ ფეხბურთს, რომლითაც ლეგენდარული დანიელი წლების წინათ "ბარსელონისა" და "რეალის" ინჩასებს ხიბლავდა...

- კი, მაგრამ მაინც რა ფეხბურთს თამაშობდა ლაუდრუპი? მაშინ ერთი რიგითი მოთამაშე გახლდით, ახლა კი გუნდურ საქმეებზე გვიწევს ზრუნვა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "ხეტაფემ" კომბინაციური ფეხბურთი ითამაშოს და ფეხბურთელებმა სიმამაცე გამოიჩინონ. ჩვენი მუშაობის შედეგებს დრო გამოაჩენს.

- ელოდით მადრიდულ კლუბში დანიშვნას?

- სიმართლე გითხრათ, არა. "ხეტაფეში" ჩემმა მოსვლამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ვხედავ, პრესკონფერენციას მრავალი დანიელი ჟურნალისტი ესწრება. ისლა დამრჩენია, ეიფორიას არ მივეცე და მშვიდად ვიმუშაო. ვფიქრობ, არ შევიცვლები და ჩემს ღირებულებებს არ ვუღალატებ.

- მომავალ სეზონში "ხეტაფე" რა მიზნებისთვის იბრძოლებს?

- ამ გუნდის დადებითი თვისება ის არის, რომ მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება. აქედან გამომდინარე, ზუსტად ვერ გეტყვით, რომელ ადგილს ვუმიზნებთ. ბუნებრივია, მეოცნებე არ ვარ და არ ვამბობ, რომ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში კლუბმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ისტორიაში პირველად უეფას თასზე ვიასპარეზებთ. ფეხბურთელთა ერთი ნაწილისგან განსხვავებით, უეფას თასის შეხვედრებში მონაწილეობის სოლიდური გამოცდილება მაქვს. შეგირდებს ამ გამოცდილებას გავუზიარებ და იმ ნიუანსებს ვასწავლი, რაც მათთვის ჯერაც უცნობია. ძალების რაციონალურად გამოყენება უნდა შევძლოთ. ოთხშაბათს ევროპული მატჩები გვექნება, შაბათ-კვირას კი პრიმერადივიზიონური დაპირისპირებების გამართვა მოგვიწევს. დამეთანხმებით, ამ სეზონში განსაკუთრებული დღეები გველის.

- უეფას თასის მოგებაზეც არ ოცნებობთ?

- ოცნებით აბსოლუტურად ვერაფერს მიაღწევ. ცხადია, უეფას თასის მოპოვება პრიმერა დივიზიონში გამარჯვებაზე იოლია. ამიტომ, ამ ტიტულზე წინასწარ უარის თქმას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ. უეფასა და ესპანეთის სამეფო თასის გათამაშება ძალიან ლამაზი ტურნირია, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატი მნიშვნელობით მნიშვნელოვნად აღემატება. ერთი სიტყვით, წინ დიდი თავგადასავლები გველის. მჯერა, ყველა ფრონტზე ღირსეულად ვიასპარეზებთ.

- პრესკონფერენციის დასაწყისში შემადგენლობის გაძლიერების აუცილებლობაზე საუბრობდით. მაინც, რომელი რგოლი საჭიროებს ყველაზე მეტად გაძლიერებას?

- მიმაჩნია, რომ ერთ პოზიციაზე ორი თანაბარი ძალის მოთამაშე უნდა გვყავდეს. ჩემი მოსვლის შემდეგ, რომლებსაც შუსტერის დროს ძირითადში მოხვედრის შანსი არ ჰქონდათ, საკუთარი უნარების გამომჟღავნების შანსი მიეცემათ.

- ესპანეთში დაბრუნების შემდეგ ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?

- ცხრილის შუაში მყოფი ორი გუნდი ისეთ ფეხბურთს თამაშობს თვალებს ვერ დაუჯერებ. პრიმერა დივიზიონის მაღალი დონე მაოცებს. სხვა ქვეყნებში მსგავსს ვერაფერს იხილავ. მაგალითად იტალიაში, ან ინგლისში ლამაზ ფეხბურთს მაქსიმუმ ოთხი გუნდი თამაშობს. აქ კი ასეთი კლუბების რაოდენობა თითქმის თხუთმეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბექჰემების პიარაქცია

დევიდმა და ვიქტორიამ კიდევ ერთხელ გააოცეს თაყვანისმცემლები

სანამ **დევიდ ბექჰემი** "ლომ ანჯელეს გელაქსიში" პირველ მატჩს ჩაატარებს, ხოლო აღდგენილი "სპაიზ გერლზი" წლის ბოლოს მსოფლიო ტურნეს დაიწყებს, **ვიქტორიამ** და დევიდმა თამამ ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. მათი სურათები ჟურნალ W-ს აგვისტოს ნომერში დაიბეჭდება.

გამოცემის გარეკანზე წყვილი მეტად თამამ პოზაშია გამოსახული, მაგრამ ჟურნალის შიგნით კიდევ უფრო შოკისმომგვრელი ფოტოებია დაბეჭდილი. **სტივენ კლაინის** სურათებზე, პოში და დევიდი შიშვლები კოცნიან ერთმანეთს, ირუჯებიან მანქანის სახურავზე და ჟიმაობენ საძინებელ ოთახში.

ამ ფოტოსესიაზე საუბრისას, ვიქტორიამ აღნიშნა, რომ სურათებზე ის ზუსტად ისეა წარმოდგენილი, როგორიც თავად არის ცხოვრებაში. *"ვფიქრობ, ხალხი ასეთ ვიქტორიას პირველად იხილავს,* - განაცხადა **პოშმა**. - *მიმაჩნია, რომ ბევრი სულელ ძროხად აღმიქვამს, რომელიც არასოდეს ილიმება, სინამდვილეში კი, ასე არ არის"*.

საერთოდ, ბოლო პერიოდში, ვიქტორიამ ნამდვილი პიარ-კამპანია გააჩაღა იმისთვის, რომ ბექჰემების ოჯახმა ამერიკული პუბლიკის სიყვარული და ყურადღება დაიმსახუროს. სწორედ ამას ემსახურება ეს ფოტოსესიაც და NYDailyNews.com-ზე გამოქვეყნებული 20 ამბავი, რომლის შესახებაც ბექჰემების ოჯახის თაყვანისმცემლებს, აქამდე არაფერი ჰქონდათ გაგონილი.

1. მუხუდოს დიეტა

პოშმა აღიარა, რომ ადრეულ ასაკში საჭმლის მონელების პრობლემები ჰქონდა და ამაში, ხან გამხდარ და ხან გასუქებულ **ჯერი ჰოლიველს** ("სპაის გერლზის" წევრი) ადანაშაულებდა, რომელიც ვიქტორიას ნორმალური საკვების ნაცვლად, გაყინული მუხუდოს მიღებას ურჩევდა.

2. შოკი ემინემისგან

წყვილმა, განრისხებულმა დატოვა მანჩესტერში რეპ-ვარსკვლავ **ემინემის** კონცერტი. მომღერალი სცენაზე ელექტროხერხით დარბოდა, სამმეტრიანი ხელოვნური ფალოსით სექსის იმიტაციას აკეთებდა და ელექტროსკამზე ჯდებოდა. ბექჰემების მეგობარმა განაცხადა, რომ ფეხბურთელი და მისი მეუღლე შოკირებულნი იყვნენ იმით, რომ მათ შვილებს ისეთ სამყაროში მოუწევდათ ცხოვრება, სადაც ემინემი ვარსკვლავად ითვლება.

3. ძუნწი დედიკო

ბრიტანეთში საქორწინო ცერემონიების ორგანიზებით განთქმულმა ერთ-ერთმა საუკეთესო აგენტმა, **ლიზ ტეილორმა** უარი თქვა ბექჰემების ქორწილის მოწყობაზე. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ვიქტორიას დედამ ტეილორს თანხის დაკლება სთხოვა, სანაცვლოდ კი, აგენტის მომსახურებისა და მისი საქონლის რეკლამა შესთავაზა.

4. შვილები საკუთარ ეკლესიაში მონათლეს

ბექჰემებმა შვილები იმ ტაძარში მონათლეს, რომელიც მათი სახლის გვერდით არის მიშენებული. შესასვლელის წინ, დიდ თაღს თეთრი ანგელოზი ამშვენებს, რომელიც ძალიან ჰგავს დევიდის ზურგზე ამოსვირინგებულ ანგელოზს. გარდა ამისა, ეკლესია გარშემორტყმულია ხელოვნური ნანგრევებით, რომელთა საერთო ღირებულება 200 ათას დოლარს აღწევს. ეს ნანგრევები ზუსტი ასლია იმისა, რაც გარს ერტყა იმ ეკლესიას, რომელშიც ბექჰემებმა ჯვარი დაიწერეს.

5. ტრუსები

დევიდს მეგობრები დიდი ხანი დასცინოდნენ იმის გამო, რომ ვიქტორიამ ერთ-ერთი ტოქ-შოუს დროს განაცხადა - დევიდს ძალიან მოსწონს ჩემი ტრუსების ტარება.

6. წესრიგზე შეშლილი დევიდი

ფეხბურთელს პარანოიის იოლი ფორმა აქვს განვითარებული: ის ითხოვს, რომ სახლში ყველა ნივთი თავის ადგილას იდოს. მისი მეგობრები ინგლისის ნაკრებში ხშირად ამასხარავებდნენ დევიდს, როცა მის სათამაშო ფორმას მთელს გასახდელში მიმოფანტავდნენ ხოლმე.

7. უფასო მგზავრობა ბრიტიშ ეირვეიზით

როცა ლონდონის აეროპორტში დამლაგებელმა ვიქტორიას სამი ჩემოდანი მოიპარა, პოშმა "ბრიტიშ ეირვეიზს" პირველი კლასის სამ ადგილზე სამუდამო ვაუჩერი მოსთხოვა. ამის სანაცვლოდ, ავიაკომპანიამ ქალბატონ ბექჰემს 200 ათასი დოლარის ოდენობის კომპენსაცია შესთავაზა.

8. მეფე და დედოფალი

1999 წელს, ჟურნალმა OK-იმ 2 მილიონი დოლარი გადაიხადა ირლანდიურ ტაძარში ბექჰემების ქორწილის ექსკლუზიური ფოტოების გადაღების სანაცვლოდ. მიღებაზე ახალდაქორწინებულები 300-მდე სტუმარს სამეფო ტახტზე მოკალათებულნი ხვდებოდნენ.

9. ბექჰემი სიკვდილით დასაჯეს

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დამარცხებისთვის ბექჰემი მთავარ დამნაშავედ გამოცხადდა. დევიდმა არგენტინელ **დიეგო სიმეონეს** ფეხი ამოარტყა და ამის გამო მინდვრიდან გააძევეს. განრისხებულმა გულშემატკივრებმა ბექჰემის კარიკატურა დახატეს, რომელზეც ფეხბურთელი თავის საყვარელ პლაჟის კოსტუმში იყო გამოწყობილი და თავს იხრჩობდა. ბექჰემი ფანების ამ საქციელით გაოგნებული დარჩა.

10. შოკი პირველი მშობიაროებისგან

როდესაც ვიქტორიამ გაიგო, რომ პირველ შვილზე, **ბრუკლინზე** იყო ფეხმძიმედ, კინაღამ გონება დაკარგა. საქმე ისაა, რომ 20 წლის წინათ, მას ექიმებმა დაუსვეს დიაგნოზი, რომლის მიხედვითაც პოში სპეციალური სამედიცინო პროცედურების გარეშე ვერ შეძლებდა დაფეხმძიმებას.

11. ვეტერანების უარი

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ბექჰემები იძულებულნი გახდნენ, გაეუქმებინათ დაგეგმილი საჰაერო აღლუმი ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავებით. ეს იყო საქველმოქმედო აქცია წყვილის ვილასთან ახლოს, მაგრამ ის არ შედგა იმის გამო, რომ არმიის ვეტერანებმა ბექჰემებთან ერთად ფრენა არ მოისურვეს.

12. მშველელი კრუზი

პრესამ ბექჰემების მესამე შვილს, სახელად **კრუზს**, რომელიც ახლა ორი წლისაა, "მშველელი" უნოდა, რადგან ის მას შემდეგ დაიბადა, რაც წყვილს ურთიერთობაში კრიზისული პერიოდი დაუდგა. ოჯახის ყოფილმა პრეს-მდივანმა **რებეკა ლუსმა** განაცხადა, რომ მას დევიდთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა არ აკავშირებდა და თავისი ისტორია პრესას მიჰყიდა. ბექჰემებმა ამ განცხადებას სასაცილო უწოდეს, თუმცა არც უარყვეს ის.

13. კომერციული კატასტროფა

ვიქტორიას მეორე სოლო-ალბომმა, რომელიც რეპერ **დეიმონ დეშთან** ერთად ჩაიწერა, დღის სინათლე ვერ იხილა - ის თავიდანვე კომერციულ კატასტროფად მოინათლა. ხმის ჩამწერმა კომპანიამ უჩუმრად გააუქმა კონტრაქტი პოშთან.

14. ბრუკლინის მოტაცების მცდელობა

2002 წელს, ბექჰემების ოჯახი მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდა, რადგან მათ ვიღაც დამნაშავეების გეგმის შესახებ შეიტყვეს, რომლებსაც ვიქტორიასა და ბრუკლინის გატაცება ჰქონდათ დაგეგმილი. ეჭვმიტანილები დააპატიმრეს, მაგრამ საქმე მალე დაიხურა.

15. ფული! ფული!

ექსპერტებმა დაითვალეს, რომ პოში, "სპაიზ გერლზის" სხვა წევრებთან ერთად, ზამთარში დაგეგმილი ტურნეს დროს დაახლოებით 20 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. თუმცა, ვიქტორიას ეს ფული, მაინცა და მაინც, არ სჭირდება, რადგან მისი მეუღლე "ლოს ანჯელეს გელაქსიში" 250 მილიონ დოლარს მიიღებს. გასულ წელს, "სანდი თაიმსის" მიერ შედგენილ მილიონერთა სიაში, ბექჰემების ოჯახის ქონება 174 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

16. დევიდის ძსეროძსი

ბექჰემების რომანტიული ოჯახი დღემდე ინახავს იმ ფურცლის ნაგლეჯს, რომელზეც დევიდმა ვიქტორიას ტელეფონი ჩაწერა, როცა ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს 1997 წელს, საფეხბურთო მატჩის დროს. შინ დაბრუნებულმა ფეხბურთელმა ეს სანუკვარი ნომერი კიდევ ექვს სხვა ფურცელზე გადაწერა, რითაც ორიგინალის დაკარგვის შემთხვევაში თავი დაიზღვია.

17. ყოვლისშემძლე ვიქტორია

ქრისტეს დაბადების სცენა, რომელზეც დევიდი და ვიქტორია მარიამისა და იოსების, ხოლო მათი შვილი, თვით ქრისტეს როლში ნარმოსდგებიან, მადამ ტიუსოს მუზეუმში იყო გამოფენილი, მაგრამ მალე, მას მორწმუნეთა მოთხოვნით, დემონტაჟი ჩაუტარდა.

18. საშინელი მუწუკები

ადრეულ ასაკში ვიქტორია საშინლად იტანჯებოდა სახის კანის გამო და არასოდეს გადიოდა სახლიდან მაკიაჟის გარეშე. ის დღეს დიდი მონდომებით უელის კანს, მაგრამ ეს წყეული მუწუკები მაინც არ ანებებენ თავს.

19. გამხდარი სპაისი

პოშმა გადაწყვიტა თავისი მეგობრისთვის, **ლიზ ჰარლისთვის** მიებაძა და გასახდომად მხოლოდ წვნიანს მიირთმევდა. მას უნდოდა ის 12 კილოგრამი დაეკლო, რომლითაც მესამე შვილის ფეხმძიმობისას მოიმატა. გასულ წელიწადს, სამი შვილის დედამ ჯინსის შარვალი შეუკვეთა, რომლის გარშემოწერილობა 58 სანტიმეტრი იყო - ეს ის ზომაა, რომელსაც, როგორც წესი, 7 წლის ბავშვები ატარებენ.

20. ძლიერი დევიდი

დევიდი ძლიერი დარტყმით არის ცნობილი. ჯერ კიდევ 6 წლის ასაკში, მან ისეთი ძალით დაარტყა ბურთი, რომ თავის ბაბუას სათვალე ჩაუმსხვრია.



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

სუმო — ნაგოიას ბაშო

მეშვიდე ნაგება

დღეიდან კოკაისთვის ნაგოიას ბაშოზე თითოეულ ბრძოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, პირველივე მარცხი დასავლეთის მეცხრე მაეგაშირას რეიტინგში კიდევ ერთ დაქვეითებას უქადის, ტურნირის დასრულებამდე სამი ბრძოლა დარჩა, კოკაის მისია (მისი დღევანდელი ფორმიდან გამომდინარე) რთულად შესასრულებელი მოჩანს - მან სამივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს. გუშინ კოკაიმ ზედიზედ მესამედ დამარცხდა ბაშოზე, მან **ტამანოშიმასთან** წააგო და ბალანსი 5-7 გაუხდა. დღეს კოკაი მეტოქე ელიტის ყველაზე დაბალი რიკიში მეოთხე მაეგაშირა **ტოიონოშიმაა**, ურთიერთშეხვედრებში 2:2-ია.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მეხუთე გამარჯვება იზეიმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, რომელმაც იორიკირის ილეთით **იოცუგურუმას** მოუგო. მაკუშიტას მე-18 ნომერ ქართველს 5-1 ბალანსი აქვს, მას კიდევ ერთი ბრძოლა დარჩა გასამართი. რაც პროფესიულ სუმოშია, ტოჩინოშინს 5-2-ზე ცუდი ბალანსით ბაშო არ დაუსრულებია, ლევანმა ეს კარგი ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია. შემდეგ ბაშოს ტოჩინოშინი მაკუშიტას დივიზიონის ლიდერთა შორის შეხვდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ივლისის სუპერტურნირი

8-22 ივლისი, ნაგოია (იაპონია)

XII დღე: კოკაი-ტამანოშიმა 0:1 (ცუკიოტოში), ჰაკუჰო-კაიო 1:0, ასაშორიუ-კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი-ჩიოტაიკაი 1:0, ამადეჯიმა 1:0, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ 1:0, ასასეკირიუ-ტოკიტენკუ 1:0, ტოიონოშიმა-ვაკანოსატო 1:0, ტაკამისაკარი-ტაკეკაძე 1:0, მიაბიამა-კასუგაო 1:0, კისენოსატო-კიტაძაკურა 1:0, ტოჩინონადა-ჰომაშო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 11-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე); 9-3: ჰომაშო (მაეგაშირა 6), ტოჩინონადა (მ 9), ჰოკუტორიკი (მ 10), კაიჰო (მ 15); .. 5-7: კოკაი (მ 9).

XIII დღე: კოკაი-ტოიონიშიმა, ასაშორიუ-ჩიოტაიკაი, ჰაკუჰო-კოტოოშუ, კაიოტოკიტენკუ, ჰომაშო-კოტომიცუკი, ამამიაბიამა, ამინიშიკი-ტაკამისაკარი, დეჯიმა-კოტოშოგიკუ, ასასეკირიუ-ტაკეკაძე, ტამანოშიმა-ვაკანოსატო, კისენოსატო-ჰაკუროძანი, ტოჩინონადა-ტამაკასუგა.

კალათბურთი — ახალგაზრდული ნაკრები

ისევ იტალია-სლოვენიაზე

დავით უსტიაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ვარჯიშს ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებული ახალგაზრდები დაესწრნენ - **გიორგი შერმადინი, რეზო დიდია და მიხეილ ჭოჭუა**. მათგან პირველი ეროვნულში ვარჯიშობს, ასევე პირველ გუნდშია 20-წლამდელთა მწვრთნელი დავით უსტიაშვილი.

სწორედ ზემოთ ნახსენები მწვრთნელ-მოთამაშეების მონაწილეობით გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც ახალგაზრდების მიერ იტალია-სლოვენიაში ჩატარებულ მატჩებს მიეძღვნა.

"იქიდან გამომდინარე, რომ ახლადშეკრებილი გუნდი გვყავდა, მთავარი მიზანი ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. საბედნიეროდ პირველი შეხვედრისთვის მობილიზება მოვახერხეთ და ლატვიელთა ძლევით მიზანს მივაღწიეთ: ჯგუფში მინიმუმ მესამე ადგილი დავიბევეთ, რაც გასავარდნი ზონისთვის თავის არიდებას ნიშნავდა. საბოლოოდ ბიჭების უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა იყო შეცდომები და უზუსტობები". - ასეთი იყო მთავარი მწვრთნელის დავით უსტიაშვილის დასკვნა.

მისმა თანაშემწე **გელა წულაძემ** მოვლენები თამაშ-თამაშ გააანალიზა: *"ლატვიასთან 30 ქულის სხვაობით გავიმარჯვეთ და ცხადია, უკმაყოფილების საბაბი არ გვქონდა. იტალიასთან კალათბურთელებს აშკარად დაეტყოთ გამოუცდელობა - მეტოქე რეალურად იმდენად ძლიერი არ იყო, როგორც ანგარიშმა გვიჩვენა, უბრალოდ, ფავორიტის, თან მასპინძლის ფაქტორმა იქონია ჩვენს ბიჭებზე გავლენა. მსაჯებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ბულგარეთთან მატჩის ბოლო წუთების ჩანაწერმაც დაადასტურა, რომ არბიტრი შეცდა, როცა მიხეილ ბერიშვილი დააჯარიმა. საბედნიეროდ ბულგარელმა ორივე ტყორცნა ააცილა და მატჩი 75:74 მოვიგეთ. მეორე ჯგუფურ ეტაპზე გამარჯვებასთან ახლოს ისრაელთან მატჩში ვიყავით, მაგრამ საბოლოოდ გამოჩნდა, რომ 10-დღიანი მარათონისთვის ფიზიკურად მომზადება იოლი არ არის. გამძლეობა ბოლომდე არ გვეყო".*

ახალგაზრდების კაპიტანი **რეზო დიდია** ტრავმირებული თამაშობდა: *"თითქმის ყველა შეხვედრაში გასიებული კოჭით ვთამაშობდი. შიგადაშიგ მწვრთნელები დასვენების საშუალებას მაძლევდნენ. ვფიქრობ, გუნდს რითაც შემეძლო, დავეხმარე".*

მეფარე **გიორგი შერმადინმა** ხაზი გაუსვა მეტოქეთა ტანმაღალი მოთამაშეების კარგ მომზადებას: *"ძლიერ მოწინააღმდეგეებთან თამაშით დიდი გამოცდილება მივიღე. საკუთარი გარჯით კმაყოფილი არა ვარ, რადგან მეტი შემეძლო. მომავალი სეზონისთვის ეს გამოცდილება ძალიან წაგვადგება".*

მიხეილ ჭოჭუა ევროპის ჩემპიონატზე რუსთავის "აზოტს" წარმოადგენდა. ამიტომაც ქვემოქართლურ ამბებზე ვკითხეთ. *"სადღეისოდ მხოლოდ ის ვიცი, რომ "აზოტი" ევროთასზე ითამაშებს. ტურნირში 39 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ევროპის ჩემპიონატზე თამაში ჩემთვის დიდი გაკვეთილი იყო, რაც ევროთასზე აუცილებლად გამომადგება."*

ვაჟა სიმონიშვილი



გიორგი შერმადინი, მიხეილ ჭოჭუა და გელა წულაძე

ფრენბურთი — მსოფლიო ტური

საქა-რთველო

საქართველო მეცამეტეა, გეორგია აგრძელებს

მარსელში, მორიგი ეტაპის მესამე დღეს ქალთა წყვილმა **საქა-რთველომ** ორი მატჩი გამართა და ტურნირი საბოლოოდ მე-13 ადგილზე დაასრულა.

პირველ შეხვედრაში საქა-რთველომ იტალიური დუეტი **მომოლი** და **ჯორია** დაამარცხა 2:1 (18:21, 21:16, 15:10). მერე კი ჩვენი ფრენბურთელები ბრაზილიელებთან **აგატასა** და **შაილინთან** დამარცხდნენ 1:2 (15:21, 21:19, 6:15). შედეგად საქა-რთველომ 180 სარეიტინგო ქულა და 4 500 ამერიკული დოლარი პრემიალური თანხა მიიღო.

ანალოგიური შედეგი აჩვენა შეჯიბრების პირველ დღეს **გეორ-გიამ**, იმ განსხვავებით, რომ ისინი ასპარეზობას განაგრძობენ. ჩვენმა ფრენბურთელებმა სტარტზე ჩეხური, **კუბალა-პავლაშის** წყვილი დაამარცხეს 2:0 (22:20, 21:14), მერე კი მე-5 ნომრად განთესილ ჩინელებთან **სიუ-ვუსთან** წააგეს 0:2 (18:21, 14:21). გეორ-გიას ტურნირზე წაგების უფლება ალარ აქვს.

ბესიკ ჯანგავაძე

ბეისბოლი

საქართველო ევროპა-აფრიკის სახელით...

იშვიათი არ არის საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საქართველოს ბეისბოლისტების წარმატება. სამი წლის წინათ, ყველაზე მაღალ შედეგს სპორტის ამ ოლიმპიურ სახეობაში საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა მიაღწია - ევროპაში უძლიერესის სახელი დაიმსახურა და მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ახლა ევროპის ჩემპიონობა უკვე უფროსებს - 19-წლამდელებს ხვდათ წილად მსოფლიო ჩემპიონატის ევროპა-აფრიკის საგზურისთვის პოლონეთში გამართულ ტურნირში. როგორც ხედავთ, ტურნირის ფარგლებში გამოვლინდა ევროპის ჩემპიონი. ამიტომ ეს წარმატება ორმაგად სასიხარულოა. ჩვენი ნაკრები ევროპა-აფრიკის სახელით წარდგება მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ-ში.

საქართველოს ნაკრებს წრიული სისტემით გამართულ ამ ტურნირზე არც ერთი შეხვედრა არ წაუგია და, ფაქტობრივად, გუშინდელ ასპარეზობას პოლონეთის მეორე ნაკრებთან პრაქტიკული მნიშვნელობა ალარ ჰქონდა, ქართველების საბოლოო წარმატება უკვე გარანტირებული იყო.

ამრიგად, ჩვენი ნაკრები 24 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით, აშშ-ის სამხრეთ, კაროლინის ქ. ესლში ორ კონტინენტს წარმოადგენს წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში.

ჩოგბურთი

ცინცინატის დაემშვიდობნენ

17 წლის **ანა ტატიშვილმა** ცინცინატიში "დასავლეთისა და სამხრეთის ფინანსური ჯგუფის" ტურნირში (175 ათასი დოლარი) მერვედფინალში ამერიკელ **ლილია ოსტერლოსთან** (112) წააგო ორ სეტში - 5:7, 1:6. გამარჯვების შემთხვევაში ტატიშვილი WTA-ის ტურნირის მეოთხედფინალში კარიერაში პირველად გავიდოდა, თუმცა არც მიღწეულია ურგო შედეგი, ქართველი ჩოგბურთელი რეიტინგში მნიშვნელოვნად წაიწევს წინ. შეგახსენებთ, რომ დღეისათვის ანა მსოფლიოს 368-ე ჩოგანია. ამავე ტურნირის წყვილთა თანრიგში ძირითად ბადეში გააღწია მეორე ქართველმა **სალომე დევიძემ**, თუმცა დევიძე და მისი მეწყვილე ბელარუსი **კურიანოვიჩი** ავსტრალიელი **ადამჩაკის** და რუმინელი **პერიანუს** დეუეტთან დამარცხდნენ - 1:6, 4:6.

ამერიკის ქალაქ ვიჩიტაში **სოფიო მელიქიშვილი** 10-ათასიან ტურნირში თამაშობდა, სადაც ის პირველ წრეში ტურნირის მე-6 ნომერ **ჯენიფერ ელისთან** დამარცხდა - 2:6, 3:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სპორტის აკადემია



გაერთიანების პროცესი დღეიდან დაიწყება

- კონფლიქტი ამოწურულია. გადაწყვეტილება არ შეიცვლება. ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტს სპორტის აკადემია შეუერთდება, როგორც ავტონომიური ერთეული, შეინარჩუნებს სტატუსს, ეყოლება დირექტორი უნივერსიტეტის სტრუქტურაში - ასეთია საბოლოო ვერდიქტი, რომელიც გუშინ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში პრესკონფერენციაზე გაახმოვანა მინისტრმა **გიორგი გაბაშვილმა**. მანვე გაიმეორა, რომ ინტეგრაცია ითვალისწინებს კადრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას აკადემიის ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და სწავლების ხარისხის ამაღლების გზით. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ რიგი სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელები, რომლებიც მხარს უჭერენ ინტეგრაციას.

უნივერსიტეტისა და აკადემიის გაერთიანების პროცესის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, როგორც გუშინვე ითქვა, დღეიდან დაიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიჩბოსნობა

ეროვნული ნაკრები

მცხეთელები გლაზგოში

საქართველოს ნიჩბოსანთა ნაკრები ხვალ, შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში გაემგზავრება, სადაც 27-29 ივლისს, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იასპარეზებს.

რაკიღა, ქართული ნიჩბოსნობის ძირითადი კერა მცხეთაშია, შოტლანდიაში წამსვლელი ჩვენი ოთხკაციანი გუნდი, მთლიანად მცხეთელებით დაკომპლექტდა. როგორც გუშინ მცხეთის ნიჩბოსნობის კლუბის დირექტორმა **ვიტალი გრძელიშვილმა** გვითხრა, სავსებით რეალურად ეჩვენება, რომ ამ ახალგაზრდებმა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები მოიპოვონ.

- გუნდი თიანეთის რაიონში, სიონში გადის დასკვნით შეკრებას, ზეგ გლაზგოსკენ ავიღებთ გეზს. მართალია, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მივდივართ, მაგრამ თუ კარგად გამოვედით, შესაძლოა, იქვე გავინაღდოთ პეკინის ოლიმპიადის საგზური. ჩვენს სახეობაში, თუკი მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე, რომელიმე ნავით დისტანციას საჭირო დროში გაივლი, ოლიმპიურ ლიცენზიას აიღებ.

გლაზგოში ორი ეკიპაჟით მივდივართ. წყვილმოსასმელიანი ნავით იასპარეზებენ ძმები - ლაშა და გიორგი ხიზანიშვილები, ხოლო ორკაციანი გასაშლელი ნავით, კახა კანდელაკი და გიორგი ელყანიშვილი იცურავებენ.

წლის დასაწყისში, ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ახალი, თანამედროვე ნავები გამოგვიგზავნა, რითაც ჩვენმა ნიჩბოსნებმა გვარიანი ნაბიჯი გადადგეს წინ. ახლახან, ხიზანიშვილები ჩემპიონები გახდნენ ლიტვაში გამართულ რეგატაზე, რომელიც საკმაოდ პრესტიჟული შეჯიბრებაა. წლის დასაწყისში კი, მსოფლიო თასის ეტაპზე, მეთხუთმეტე ადგილი ვაჩვენეთ. ეს ყველაფერი იმედს გვაძლევს, რომ პეკინის ოლიმპიადის საგზურის გარეშე არ დავრჩებით.

- მსოფლიო ჩემპიონატის გარდა, კიდევ რომელი სალიცენზიო შეჯიბრებები გაქვთ?

- ჯერ მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გამოვიდეთ კარგად, რათა ოლიმპიური თამაშების სხვა სალიცენზიო ტურნირებზე გამოსვლის უფლება მოვიპოვოთ. წლეულს, ასეთი შეჯიბრება კიდევ ორია, ოღონდ უფროსებში, გაისად კი კიდევ ერთი სალიცენზიო შეჯიბრება გაიმართება. ამ სამ ტურნირზე, თორმეტ საუკეთესოში მოხვედრა, ავტომატურად იძლევა ოლიმპიურ საგზურს.

კობა ხატისაშვილი

ჩოგბურთი

ჯანო ბაგრატიონი: რას მოგვცემს მესხისა და მეტრეველის დაპირისპირება?



ჯანო ბაგრატიონი

ძარღვულ ჩოგბურთში წარმოქმნილმა პრობლემამ გულგრილი არავინ დატოვა. გუშინ იან ჰომერის სახელობის კორტებს ვეწვიეთ. **დავით ლანჩავასა** და **გელა ელერდაშვილის** კომენტარები გვსურდა. თუ კარგად გახსოვთ, ორიოდ დღის წინ ჩვენთან საუბარში საკუთარი პოზიციები დაფიქსირეს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** და პარლამენტის წევრმა **ვალერი გიორგობიანმა**. ჩინოვნიკთა პოზიცია ოპოზიციისთვის სასურველი ნამდვილად ვერ იქნებოდა და ვიფიქრეთ, რომ მათ საპასუხოდ ბევრი რამ შეეძლოთ ეთქვათ.

სამწუხაროდ, ასე არ მოხდა - ბატონმა დავით ლანჩავამ, რომელიც ოპოზიციის მთავარ ფიგურად ითვლება, კომენტარის გაკეთება არ ისურვა. მისი განმარტებით, ასეთი პოლემიკა პიროვნულ დაპირისპირებამდე დავა, რაც მისი და მისი გუნდისთვის მიუღებელია, რეპლიკების მონაცვლეობაც ცუდად გამოჩნდება და არაფერს შეგვმატებსო. მთავარ სათქმელს ოპოზიცია ყრილობაზე იტყვის - იქ განმარტავს ყველა საკითხს და საზოგადოებას საკუთარი პოზიციის მართებულობას დაანახებს და საკანონმდებლო კუთხით წარმოჩენილ პრობლემებსაც განმარტავს. ამით ხაზს გაუსვამს მათივე მოთხოვნის - რიგგარეშე ყრილობის მოწვევის იურიდიულ საფუძვლიანობას.

გუშინ კომენტარი ისურვა ცნობილმა ქართველმა სპორტულმა მოღვაწე, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტმა, ჯანო ბაგრატიონმა.

- პირველ რიგში მინდა ვიკიხთო: ვინ არის ბატონი დავით ლანჩავა? რა დამსახურება აქვს ქართულ ჩოგბურთში, რომ ამხელა პრეტენზია გაუჩნდა - უხელმძღვანელოს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას და თანაც ამას არსებული პრეზიდენტის ვადამდელი გადაყენებით მიაღწიოს. მე ამ კაცს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ადვოკატია და ჩოგბურთში სულ რაღაც ერთი წელია, რაც გამოჩნდა; აქამდე ლეილა მესხის ოჯახის ადვოკატი იყო, შემდეგ ფედერაციას ემსახურებოდა და ბოლოს იან ჰომერის სახელობის კორტების პატრონი გახდა, რამდენიმე ხანში კი კომპანია "ქართული ჩოგბურთი" ჩამოაყალიბა. რა ფუნქცია აქვს ამ კომპანიას და რა მასშტაბის სამუშაოს ასრულებს, ეს კიდევ საკითხავია... ყველა შემთხვევაში, მიუღებლად მიმაჩნია ბატონი დავითის პოზიცია - ასე მამაკაცი არ უნდა იქცეოდეს. ეცლიათ, ბატონო, ქალბატონი ლეილასთვის - ჩამოვიდოდა ერევნიდან და დალაპარაკებოდნენ. - ეგებ მიდიოდა უხმაუროდ და არც შექმნილიყო ზედმეტი აჟიოტაჟი?!

ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რომ ლეილას მუშაობას უწუნებენ. ამ დროს კი სახელმწიფო ჩოგბურთის ფედერაციას ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ წარმატებულ და ლიდერ ორგანიზაციად თვლის და მადლობას უხდის. ამავე დროს, ფედერაციას დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ქალთა ნაკრებმა ფედერაციის თასის მეორე ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა, ხოლო კაცთა ნაკრებმა პირველში აინაცვლა დევისის თასზე. ირაკლი ლაბაძე ახლა ტრავმირებული კია, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდება და წარმატებების იმედი კვლავ გვექნება, ცხადია, სხვებთან ერთად ახალგაზრდებიც საკმაოდ ნიჭიერები არიან.

- ბატონო ჯანო, ოპონენტებს საკუთარი არგუმენტები აქვთ - მათი აზრით, ჩვენს ჩოგბურთს მომავალი თაობა არ ჰყავს. ამტკიცებენ, რომ ბევრად მეტის გაკეთება შეუძლიათ და და ამისთვის ყველა რესურსიც გააჩნიათ.

- მე ასე არ ვფიქრობ: ლეილამ მომავალზეც ბევრი იზრუნა და სწორედ მისი იდეა იყო, რომ დიღომში საჩოგბურთო ბაზა აშენებულიყო, მანვე მოიძია ინვესტორები და ის ადამიანი დაინტერესა, ვინც ქართული ხალხისთვის უდიდეს საქმეებს აკეთებს. ცხადია, მიხვდით ვინც არის, უბრალოდ მას არ უყვარს საჯაროდ საკუთარი სახელის ხსენება და მეც შევიკავებ თავს. ლეილამ საერთაშორისო არენაზეც მოიხვეჭა სახელი - კონტაქტები დაამყარა ჩოგბურთის მმართველ ორგანოებთან და შესანიშნავ ურთიერთობას ინარჩუნებს. ქართულ ჩოგბურთს მხოლოდ სამი დიდი ოსტატი ჰყავს: ალექსანდრე მეტრეველი, ან გარდაცვლილი თეიმურაზ კაკულია და ლეილა მესხი. ამ სახელებს პატივისცემა და გაფრთხილება სჭირდება. სხვათა შორის, ძალიან მიკვირს, რომ მეტრეველი მეორედ დაუპირისპირდა ლეილას. მგონია, რომ მეტრეველის და მესხის მეგობრობა უფრო ბევრს მოუტანს ქართულ ჩოგბურთს, ვიდრე დაპირისპირება და სხვადასხვა ბანაკში ყოფნა.

მე სხვა საჩოგბურთო ჩინოვნიკებისაც გამკვირვებია, რომელთაც ლეილას უგანეს, - არადა, მათი დიდი ნაწილი სწორედ ლეილამ გამოიყვანა ასპარეზზე და ხელი შეუწყო პროფესიულ ზრდაში; ზოგიერთს ნაკრები ჩააბარა, ზოგს ჩოგბურთის განვითარების სტრატეგიული უბანი და ასე შემდეგ...

სიმართლე გითხრათ, მრცხვენია ასეთ თემაზე საუბარი, მაგრამ აზრი რომ არ გამოვთქვა, არ შემიძლია. ვფიქრობ, რომ ლეილა არჩევნებს უპირობოდ მოიგებს - მეტოქეს შანსი არა აქვს.

ზვიად შათირიშვილი

ოლიმპიზმი

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი

წარმატებული გამოსვლის იმედით

გიორგი ესაკია

ხვალ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში იწყება ევროპის ახალგაზრდობის რიგით IX ოლიმპიური ფესტივალი, სადაც, რა თქმა უნდა, ქართველი ათლეტებიც იასპარეზებენ. ერთი კვირის განმავლობაში ბელგრადში კონტინენტის 48 ქვეყნის სამი ათასამდე სპორტსმენი მოიყრის თავს და სპორტის 11 სახეობაში გამარჯვებას შეეცდება. ვესაუბრებით სერბეთში ჩვენი სპორტული დელეგაციის მისიის ხელმძღვანელს, სეოკ-ის სპორტული დირექტორის მოადგილეს გიორგი ესაკიას.

- უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ. მართალია, ზამთრის-ანალოგიურ თამაშებში მანტეასა (შვეიცარია) და ხაკაში (ესპანეთი) ამ მხრივ გამოცდილება მივიღე, მაგრამ ზაფხულის ფესტივალზე ეს ჩემი პირველი გამოცდაა. აღნიშნული სპორტული ღონისძიება საკმაოდ სერიოზული რანგის შეჯიბრია და ერთი უმნიშვნელო დეტალიც კი გასათვალისწინებელია. იგი 1991 წლიდან ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ბელგრადის თამაშები ჩვენთვის მერვეა, რამეთუ, სამწუხაროდ, პირველ შეჯიბრში, რომელსაც ბრიუსელმა უმასპინძლა, საქართველოს დელეგაციას გარკვეული მიზეზების გამო არ უასპარეზია. ქართველთა დებიუტი 1993 წელს ჰოლანდიის ქალაქ ვალკენსვაარდში შედგა და მას მერე მისი უცვლელი მონაწილენი ვართ.

- იქნებ ორიოდე სიტყვით „ბელგრადი 2007-ის“ ფესტივალის პროგრამაზეც გვითხრათ...

- ასპერეზობები სპორტის 11 სახეობაში გაიმართება: ხელბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ცურვა, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ველორბოლა, ძიუდო, ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი. ამ უკანასკნელს სერბეთში დებიუტი ექნება და აღსანიშნავია, რომ ბელგრადში ძალებს ჩვენი მაგიდის ჩოგბურთელებიც მოსინჯავენ.

სამწუხაროდ, ჩვენდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ამჯერად სათამაშო სახეობებში ქართული გუნდების მონაწილეობა ვერ მოხერხდა. არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ბურთიან სახეობებში გამარჯვებას სულ სხვა ხიბლი აქვს. მაგალითისთვის თუნდაც წინა – ლინიანოს ფესტივალიც გამოდგება, სადაც ქართველი ფეხბურთელები ჩემპიონები გახდნენ.

სეოკ-მა საორგანიზაციო კომიტეტში კალათბურთელთა გუნდის დაშვება ითხოვა და თანხმობაც მივიღეთ, მაგრამ შემდგომ გაირკვა, რომ ფესტივალი და ევროპის ჩემპიონატი ერთმანეთს ემთხვეოდა. ფედერაციისა და სეოკ-ის შეთანხმების საფუძველზე კი არჩევანი კონტინენტის პირველობაზე გაკეთდა.

- საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაზე რას გვეტყოდით? სპორტის რამდენ სახეობაში ვიასპარეზებთ?

- დელეგაცია საკმაოდ მრავალფეროვანია და სასიხარულოა, რომ სპორტის სახეობათა სპექტრი გაფართოვდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თამაშები სპორტის 11 სახეობაში გაიმართება, ჩვენ კი შვიდში ვცდით ბედს. ძიუდოში, მძლეოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ველორბოლასა და ცურვაში 27 სპორტსმენი გვეყოლება, დელეგაცია კი 46 კაცისგან შედგება.

- როგორ შეაფასებდით წინა 7 თამაშებში ჩვები ათლეტების გამოსვლას?

- რა თქმა უნდა, დადებითად და ამას ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ვამბობ. ან კი აუგი როგორ უნდა ვთქვა, როცა უმედლოდ არცერთი თამაშიდან არ დავბრუნებულვართ? არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშიც თითქმის სულ მოწინავეთა შორის ვართ.თავად განსაჯეთ: ვალკესვაარდიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს წარგზავნილებს 35 მედალი მოუგიათ. აქედან 12 ოქრო, 9 ვერცხლი და 14 ბრინჯაო. საუკეთესო შედეგი 2001 წელს მურსიაში გვქონდა, სადაც ოქროს 4 და ბრინჯაოს 2 მედალი დავისაკუთრეთ.

- ორი მთავარი საკითხი: დაფინანსება და სპორტული ეკიპირება. ამაზე რას გვეტყოდით?

- საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში ქართული სპორტი ფინანსურად წელში გაიმართა. ამ კუთხით ხელისუფლებაც მუშაობს, რომ აღარაფერი ვთქვათ სეოკ-ის პრეზიდენტსა და ოლიმპიური ფონდის დამფუძნებელ ბადრი პატარკაციშვილზე. ბელგრადში გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ არასოდეს დამდგარა, ყველაფერი თავის თავზე ოლიმპიურმა ფონდმა და სეოკ-მა გაინაწილეს.

რაც შეეხება ეკიპირებას, ამაზე ისევე როგორც ლინიანოში, ამჯერადაც ქართულმა ფირმა „სარომ“ იზრუნა. მათ საკმაოდ კარგი ხარისხის ფორმები დაგვიმზადეს. ბუნებრივია, სასიამოვნოა, რომ შეკვეთა არა უცხოურმა, არამედ ეროვნულმა ფირმამ შეასრულა.

- ფესტივალისთვის სპორტსმენთა მზადების მხრივ რაიმე პრობლემები ხომ არ ყოფილა?

- არანაირი. პირიქით ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართა. მზადება ბოლო დღემდე გაგრძელდება.

- ბელგრადში რა შედეგებზე შეიძლება ვიფიქროთ?

- როგორც ყოველთვის ჩვენი გუნდის გამწევი ძალა ძიუდო იქნება და სასწაული უნდა მოხდეს, რომ ამ სახეობაში რამდენიმე მედალი ვერ მოვიპოვოთ. თანაც გუნდში ახლახან, მალტაში დასრულებული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის 5 თავგამოჩენილი სპორტსმენი გვეყოლება და რაღა ახლა გაგვიწყრება ღმერთი? გვეიმედება მძლეოსნებისა, რომლებიც სერბეთში სოლიდური შემადგენლობით წარდგებიან და ვფიქრობ, ჩოგბურთელებიც იტყვიან თავიანთ სათქმელს. ნიშანდობლივია, რომ ეკატერინე გორგოძე რეიტინგით 16-წლამდელ ჩოგბურთელ გოგონათა შორის ევროპაში პირველი ნომერია.

ასე რომ, ბელგრადში მაღალი შედეგებისთვის ვიბრძოლებთ და იმედია, ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალზე მისიის ხელმძღვანელის რანგში ჩემი დებიუტიც წარმატებული იქნება.

კახა ბერიძე

ტურ დე ფრანსი

ტურმა ეკვატორი გაიარა

რობერტ ჰანტერი გამარჯვებას ზეიმობს

ტურ დე ფრანსის გუშინდელი ეტაპის შემდეგ, რომელზეც პელოტონმა ეკვატორი გაიარა, ლიდერის ცვლილება არც იყო მოსალოდნელი და, რა თქმა უნდა, არც შეცვლილა. ეს იმიტომ, რომ პირენეებამდე ველომრბოლებს კიდევ ერთი სულისმოსათქმელი, სპრინტერული ეტაპი ჰქონდათ, ასეთ რბოლებს კი, როგორც წესი, პელოტონი ერთ ჯგუფად ამთავრებს ხოლმე. ლიდერის ყვითელი მაისურა დანიელმა **მიქაელ რასმუსენმა** შეინარჩუნა, პელოტონმა კი რამდენიმე ჯგუფად დაშლილმა მიაღწია ფინიშს.

გამარჯვება კი სამხრეთაფრიკელმა **რობერტ ჰანტერმა** მოიპოვა, ვინც ფინიშზე რამდენიმე სანტიმეტრით მიასწრო ორი ეტაპის მომგებ შვეიცარიელ **ფაბიან კანჩელარას**. რბოლა მესამე ადგილზე დაასრულა ბრაზილიელმა **მურილო ფიშერმა**. სხვათა შორის, ჰანტერის გამარჯვება, მიმდინარე ტურზე მეორეა ამ რბოლის დებიუტანტ გუნდ "ბარლოუორლდისთვის" (ეს გუნდი ტურზე რბოლის ორგანიზატორებმა ეგრეთ წოდებული უაილდ ქარდით მიიწვიეს), რომელსაც კიდევ ერთი გამარჯვება ბრიანსონის სამთო ეტაპზე კოლუმბიელმა **მაურისიო სოლერმა** მოუპოვა.

"ძალიან რთული ეტაპი იყო. საქმეს განსაკუთრებით ართულებდა გვერდითი ქარი. ფინიშამდე კი რამდენიმე ძალიან რთული მოსახვევის გავლა მოგვიხდა. ბედნიერი ვარ, რომ ყველა სირთულეს გავართვი თავი და ტურის ეტაპი მოვიგე. ეს ნებისმიერი ველომრბოლისთვის კარიერაში გამორჩეული მოვლენაა", - ნარბოლევს განაცხადა ჰანტერმა, ვინც ფრანგული ტურის ისტორიაში, ეტაპის პირველი სამხრეთაფრიკელი გამარჯვებულია.

სპრინტერული ფინიშის მოგების რეალური შანსი ჰქონდა ბელგიელ **ტომ ბოონენს**, ვინც პელოტონის მოწინავეთა შორის, სპრინტის ერთადერთი სპეციალისტი იყო, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე ასეული მეტრით ადრე მომხდარმა ავარიამ, მას ხელსაყრელი პოზიციის დაკავების საშუალება არ მისცა.

არადა, საფინიშო სპურტის დაწყებამდე, ჰანტერი სწორედ ბოონენს მიჰყვებოდა იმ იმედით, რომ გამოცდილი სპრინტერი ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდოდა. მაგრამ შემდეგ "ლიკიგაზის" ველომრბოლებმა გაზარდეს ტემპი და აფრიკელმაც მათი გაყოლა ამჯობინა. არც შემცდარა.

სამაგიეროდ, გუშინდელ ეტაპზე ბევრი დრო დაკარგა ფრანგმა **კრისტოფ მორომ**, ვისაც ტურის დაწყებამდე, პარიზში კვარცხლბეკზე ასვლის იმედი ჰქონდა, მაგრამ ახლა მიზანს მეტისმეტად დაშორდა. მორო ძირითად ჯგუფს მაშინ ჩამორჩა, როცა ფინიშამდე 70 კილომეტრით ადრე, "ასტანის" ველომრბოლებმა დაწინაურებულთა დასაწევად, ტემპი მნიშვნელოვნად გაზარდეს. მოროს თანაგუნდელებმა თავიანთი ლიდერის დახმარება სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ფრანგზე ცუდად იმოქმედა იმ ტრავმამ, რომელიც მან წაქცევისას მიიღო.

საბოლოოდ, საფრანგეთის ჩემპიონმა ეტაპი 82-ე ადგილზე დაასრულა და ჰანტერთან 3 წუთი და 20 წამი დათმო, რის შედეგადაც, მან საერთო კლასიფიკაციაში მეექვსედან მე-12 ადგილზე გადაინაცვლა (რასმუსენს ექვსი წუთით და 31 წამით ჩამორჩება).

მოროს მსგავსად, ძირითადი ჯგუფის ტემპს ვერ აჰყვა სპრინტის ორი სპეციალისტი - გერმანელი **ერიკ ცაბელი** და ნორვეგიელი **თორ ჰუსჰოვდი**, რომლებმაც ქულების კლასიფიკაციაში თითო საფეხურით (შესაბამისად, მესამესა და მეოთხემდე) დაიწიეს. მეორე ადგილზე კი ჰანტერმა გადაინაცვლა, ვინც ლიდერ ბოონენს 11 ქულით ჩამორჩება.

მერაბ ლორთქიფანიძე

მე-11 ეტაპი. მარსელიდან მონპელიემდე (182.5 კმ)

1. რობერტ ჰანტერი (სამხ.აფრიკა, ბარლოუორლდი) 3.47.50; 2. ფაბიან კანჩელარა (შვეიცარია, CSC) იმავე დროში; 3. მურილო ფიშერი (ბრაზილია, ლიკიგაზი); 4. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკიგაზი); 5. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 6. პაოლო ბოსონი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 7. კლაუდიო კორიონი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი); 8. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, ფრანსის დე ჟუ); 9. ვილიამ ბონე (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი); 10. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი)... 32. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი)... 45. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი); 46. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) ყველა იმავე დროში...

კლასიფიკაცია 11 ეტაპის შემდეგ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) 53.11.38; 2. ალეხანდრო ვალვერდე ბელმონტე (ესპანეთი,კაისე დ'ეპარნი) 2.35; 3. იბან მაიო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 2.39; 4. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 2.41; 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.08; 6. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 3.39; 7. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 3.50; 8. ლევი ლაიპჰაიმერი (აშშ, დისქავერი ჩენელი) 3.53; 9. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ტე-მობილი) 5.06; 10. მიკელ ასტარლოსა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი) 5.20...

20 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲣᲤᲐᲑᲐᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რეალი.
14:10 ტოქ-შოუ - 2:1.
14:55 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-სეული (კორეა) (LIVE).
16:55 ჩემპიონთა ლიგის არქივიდან. 2003-04 წლების სეზონი. 1/8 ფინალი. მილანი-სპარტა. საპასუხო მატჩი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 ამხანაგური მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-სეული (კორეა).
21:15 საფეხბურთო კლუბი.
21:45 კვირის მატჩი. კოპა ამერიკა. ფინალი. ბრაზილია-არგენტინა.
23:30 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
01:15 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

07:00 აფროსნობა. ამერიკის თასი.
07:27 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
07:53 მინი-მოედანი.
08:20 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
09:08 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:11 ფეხბურთი.
10:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:40 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1986 წელი. ლივერპული-ევერტონი.
12:22 სპორტდოსიე.
12:50 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
16:20 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:50 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
18:34 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
20:30 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:20 პლაჟის ფეხბურთი.
22:15 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
00:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:13 კრივი. რინგ-საიდი.
01:16 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ბაიერნი.
03:00 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. 1986 წელი. ლივერპული-ევერტონი.
04:46 ფეხბურთი. 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო მატჩები. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბაიერნი.
06:31 სპორტდოსიე.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XI ეტაპი.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
14:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი (LIVE).
14:45 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XI ეტაპი.
16:15 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ლივერპული.
20:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
21:30 სნუკერი.
22:30 ტიმბერსპორტი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. შვეიცარია.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ბულგარეთის გრან-პრი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ვერდერი-ლივერპული.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XII ეტაპი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
13:00 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. სერბეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კანადა.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ბრაზილია-ირანი. პორტუგალია (LIVE).
18:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პორტუგალია (LIVE).
18:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პორტუგალია.
19:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. პორტუგალია (LIVE).
20:30 ახალი ამბები.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 რალი. ახალი სერია. რუსეთი.
22:30 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/4 ფინალი. სერბეთი (LIVE).
00:15 კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (19-წლამდელები). 1/4 ფინალი. სერბეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
04:00 ახალი ამბები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ლიონი-რივერ პლეიტი	3:1
შიმიზუ-რეალმადრიდი	0:1
სპარტა-კიოლნი	2:0
შგ. კიევრსი-ფრაიბურგი	2:2
გენ

NBA. შარლოტ ბობკეთსი

ჯორდანს ყოველთვის გასოლს შეახსენებენ

აი, ასეთებიც ხდება - ყველა დროის უდიდესი მოთამაშე, ტიტულებით დახუნძლული **მაიკლ ჯორდანი** იქნებ, თავისი ახალი გუნდიდან ამ რეგულარულის ბოლოსვე დაითხოვონ.

საქმე შემდეგშია.

როგორც იცით, "მისმა უჰაერესობამ" რამდენიმე თვის წინათ 10 მილიონი დოლარით "შარლოტ ბობკეთსის" თანამონილეობა მოახერხა, მერე კი (ეს მანამდე არ გამხელილა), მთელი სასკაუტო პერსონალი, გუნდის მენეჯერ-მწვრთნელები გვერდით ჩააჩოჩა და განაცხადა - სეზონის დაწყებამდე გუნდის შემადგენლობას მთლიანად მე დავაკომპლექტებო.

მაიკლის ავტორიტეტი და გამოცდილება ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, მაგრამ ორი დღის წინათ, გუნდის მოწილეთა მთელმა შტაბმა კრება ჩაატარა, მერე კი იქ ნასაუბრები მასმედიასაც გააცნო.

"მაიკლ ჯორდანი ყველა დროის უდიდესი კალათბურთელი იყო და მის საორგანიზაციო ნიჭშიც ეჭვი არავის შეაქვს, თუმცა მისტერ ჯორდანმა ყველაფრის თავად დაწყება მოისურვა და ცხადია, ამიერიდან, საბოლოო შედეგ ზეც, მხოლოდ და მხოლოდ, თავად იქნება პასუხისმგებელი. ჩვენ არავის ვაჩქარებთ, მოვლენებს წინ არ ვუსწრებთ, მაგრამ თუ მაიკლი გუნდს თავად აშენებს, შედეგ ზეც მთლიანად იგი იქნება პასუხისმგებელი", - ამბობს "შარლოტის" ერთ-ერთი მეწილე **დუეინ აბრაჰამზი**.

ფლეი ოფში მოხვედრის რა შანსები აქვს "შარლოტს"?

გუნდმა ტრანსფერის შედეგად დაიმატა ძალიან კარგი მსროლელი **ჯეისონ რიჩარდსონი**, თუმცა ჯორდანს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ახალ წევრს ჯერ კიდევ "გოლდენ სტეიტთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, მომდევნო 4 წლის განმავლობაში 51 (!) მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს.

მაიკლმა შეინარჩუნა თავისუფალი აგენტი **ჯერალდ უოლასი**, რომელსაც 6-წლიანი, 57-მილიონიანი ხელშეკრულება გაუფორმდა, თუმცა თუ ამ უკანასკნელის ხშირ ტრავმიანობას გავითვალისწინებთ, მისი სხვაგან გაშვება, ან შენარჩუნება და მერე გაცვლა უკეთესი იქნებოდა. უოლასს NBA-ში, 6 სეზონის განმავლობაში ტრავმების გამო 157 შეხვედრა აქვს გამოტოვებული.

ყველაზე დიდი "მიღწევა" კი, რეზერვისტ **მეტ კეროლთან** ახალი კონტრაქტით 27 (!) მილიონი დოლარის გადახდა იყო. 5 სეზონის განმავლობაში, კეროლი ერთ მატჩში საშუალოდ მხოლოდ 8.9 ქულას აგროვებს.

დუეინ აბრაჰამზი ზედმეტად არც შარშანდელი დებიუტანტით, **ადამ მორისონითაა** კმაყოფილი, რომელიც 10 ქულაზე მეტს კი იხვეჭს, მაგრამ თამაშიდან საშინელი პროცენტით ისვრის. ჯორდანის კოლეგამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ წლევანდელ დრაფტზე, მაიკლს **ჯარედ დადლიზე** უკეთეს მოთამაშეზე შეეძლო არჩევანის შეჩერება.

თავისთავად, რიჩარდსონის დამატებითა და უოლასის შენარჩუნებით, "შარლოტმა" შარშანდელ 33 მოგებაზე მეტი უნდა გამოჭედოს, თუმცა ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად საკმარისი იქნება ეს, ბევრად გაძლიერებული აღმოსავლეთის კონფერენციიდან ფლეი ოფში გასასვლელად.

კვლავ აბრაჰამზს მოვუსმინოთ.

"შარშანდელ რეგულარულში სტაბილურად მხოლოდ ემეკა ოკაფორმა, უოლასმა და ალბათ, ვალტერ ერმანმა თუ ითამაშეს. არ მესმის, რაში გვჭირდება ჯეფ მაკკინისი, რომელსაც მომდევნო ორი წლის განმავლობაში კიდევ 22 მილიონი უნდა გადავუხადოთ. ან რატომ არ შეიძლება ოტელა ჰარინგტონისა და პრიმოუ ბრეუეცის ნაცვლად რომელიმე ძლიერი ცენტრის ან მძიმე ფორვარდის აყვანა?" - ამბობს აბრაჰამზი.

მერე და მერე, მასმედიელებმა მაიკლ ჯორდანს ძველი ცოდვებიც შეახსენეს - თავის დროზე, "ვაშინგტონ უიზარდსში" მუშაობისას, მაიკლმა დრაფტისას, პირველ ნომრად ყოვლად გამოუსადეგი **კვამე ბრაუნი** აირჩია, არადა, მაშინ რიგში კვამესთან შედარებით ძალიან ძლიერი მოთამაშეები იყვნენ - ორმაგი დუბლების მანქანა და ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი **ტაისონ ჩენდლერი**, წლიდან წლამდე პროგრესირებადი ცენტრი **ედი კარი** და თვით **პაუ გასოლი**!

"ვაშინგტონში" მისვლისთანავე, ჯორდანმა მთავარ მწვრთნელად ვინმე **ლეონარდ ჰამილტონი** დანიშნა, რომელმაც გუნდს პირველ რეგულარულში მხოლოდ 19 შეხვედრა მოაგებინა.

ჯორდანს "ვაშინგტონში" მუშაობა კონტრაქტით გათვალისწინებული დროით არ დასცალდა, რადგან რეგრესირებადი "უიზარდსის" მფლობელებმა ჯორდანს კარისკენ მიუთითეს.

"წარსულით არასოდეს მიცხოვრია და ამის შეცვლას არ ვაპირებ. თუ ვინმეს რაიმეს თქმა სურს, კარგი იქნება, თუ ამას პირში მეტყვიან. ჯეისონ რიჩარდსონის სახით ფლეი ოფისთვის ბრძოლაში დიდი კოზირი მივიღეთ და ამას მაქსიმალურად გამოვიყენებთ. "შარლოტში" შესანიშნავი ხალხია შეკრებილი და მათთან ერთად მუშაობა ჩემთვის დიდი პატივია", - განუცხადა მაიკლმა CNN-ს სატელეფონ საუბარში.

ზურაბ თალაკვაძე



მაიკლ ჯორდანი



ფაბრიციო ობერტო

ახალი ამბები

სპურსმა ობერტო შეინარჩუნა

"სან ანტონიო სპურსს" გაისად **ტიმ დანკანის** შენარჩუნება მოუწევს, რაც გუნდს დაახლოებით 83 მილიონი (4 წლით) დაუჯდება. საუბარი იმის შესახებ, რომ მოქმედი ჩემპიონები თავიანთ სუპერვარსკვლავთან ახალ კონტრაქტს ამ სეზონის დაწყებამდე გააფორმებდნენ, საუბრად დარჩა. გუნდის გენერალური მენეჯერი **არ. სი. ბუფორდი** დარწმუნებულია, რომ ტიმი კარიერას "სპურსში" ჩაამთავრებს და მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება მხოლოდ დროის ამბავია.

ეს სამომავლოდ, გუშინ კი ტეხასელებმა არგენტინელი ცენტრი **ფაბრიციო ობერტო** დაიტოვეს. კონტრაქტი გრძელვადიანია, თუმცა მისი დეტალები გუნდის წარმომადგენლებს არ გაუმხელიათ.

ობერტომ "სპურსში" კარგი სეზონი ჩაატარა. თუ სადებიუტო რეგულარულში **გრეგ პოპოვიჩი** გამოცდილ არგენტინელს არ ენდობოდა და ცენტრად ძირითადად, **რაშო ნესტეროვიჩს** ან **ნაზრ მოჰამედს** აყენებდა, წლეულს დასრულებულ სეზონში ფაბრიციომ გუნდის ძირითად ბირთვში დაიმკვიდრა ადგილი და ერთ მატჩში 4.4 ქულა და 4.7 მოხსნა დააგროვა. იგი სასტარტოში 33-ჯერ იყო და მოედანზე საშუალოდ 17 წუთს ატარებდა. რეგულარულში პოპოვიჩი მას, ჰოლანდიელ **ფრანსისკო ელსონს** უნაცვლებდა.

ობერტო გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად იქცა და მწვრთნელმა ფლეი ოფში მას 20 მატჩიდან 12 სასტარტო ხუთეულში დააწყებინა. ნოემბერში, "ფინიქს სანზის" წინააღმდეგ მატჩში ობერტომ თამაშიდან 11-ივე სროლა გამოიყენა, რითაც "სპურსის" გუნდური რეკორდი დაამყარა.

დიურანის 60-მილიონიანი

კევინ დიურანს, ისევე, როგორც **გრეგ ოდენსა** და, ალბათ, **მარკო ბელინელის**, წინ უამრავი დასამახსოვრებელი სპორტული ეპიზოდი ელის, პარალელურად კი, მათ სხვადასხვა მონსტრი კომპანიები სარფიანი კონტრაქტებითაც წაახალისებენ.

გუშინ, დიურანმა NIKE-თან 60-მილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა. "სიეტლის" მოთამაშისა და სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმის თანამშრომლობა 7 სეზონს გასტანს, მერე კი კევინს კონტრაქტის ერთი წლითაც გახანგრძლივების უფლება რჩება.

"მაიკლ ჯორდანისა და ლებრონ ჯეიმსის კონტრაქტებამდე ბევრი მიკლია, მაგრამ დამაცადეთ, ტიტულებსაც მოვიგებ და სპონსორებიც ჩემით მეტად დაინტერესდებიან", - დიურანი საკუთარ შესაძლებლობებში აშკარად დარწმუნებულია.

გრეგ ოდენი კი, დღედღეზე NIKE-ის კონკურენტ ADIDAS-თან კონტრაქტს მოაწერს ხელს. წინასწარი ინფორმაციით, "პორტლენდის" ცენტრი გერმანელებისგან, 5 წლის განმავლობაში საერთო ჯამში 54 მილიონს მიიღებს. ოდენთან დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ გუშინ, ახალგაზრდა მოთამაშემ ერთხელაც დაადასტურა ამერიკის ნაკრებში თამაშის სურვილი. როგორც კი ექიმები (გლანდების ამოკვეთის მერე) ვარჯიშის განახლების ნებას დამრთავენ, ეგრევე კემპზე გადავფრინდებიო, - განაცხადა წლევანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა.



კევინ დიურანი

ჩოგბურთი

ტურნირები

ATP

მერსედესის თასი

შტუტგარტი (გერმანია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 642 750 ევრო

1/8 ფინალი

ფერნანდო ვერდასკო (ესპ)-დავიდ ფერერი (ესპ, 4) 7:5, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 7)**-ბორის პაშანსკი (გერ) 7:5, 4:6, 6:4; **ირჟი ვანეკი (ჩეხ)**-გალე მონფილსი (საფ) 1:6, 7:6 (4), 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:4, 6:1.

Countrywide Classic

ლოს ანჯელესი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 525 000 დოლარი

1/8 ფინალი

მარატ საფინი (რუს, 3)-გეორგ ბასტლი (შვეიც) 6:2, 2:6, 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი (კორ, 7)**-უესლი მუდი (ს. აფრ) 6:2, 3:0 მუდის ტრავმა; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 6:2; **მიხაელ ბერერი (გერ)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:3, 7:5.

ჰოლანდიის ღია

ამერსფორტი (ჰოლანდია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

1/8 ფინალი

მიხაილ იუჟნი (რუს, 2)-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:4, 6:2; **ფლორან სერა (საფ)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 4:6, 6:3, 7:6 (5); **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-სერხიო როიტმანი (არგ) 7:5, 7:6 (6); **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:4, 3:6, 6:3.

WTA

Western & Southern Financial

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 175 000 დოლარი

I რაუნდი

მენ იუანი (ჩინ)-კეისი დელაკუა (ავსტრა) 6:4, 4:6, 6:2.

1/8 ფინალი

ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)-ანდა პერიანუ (რუმ) 6:4, 6:3; **სანია მირზა (ინდ, 3)**-ვარვარა ლეპჩენკო (უზბ) 6:2, 6:2; **აკიკო მორიგამი (იაპ, 7)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:2, 6:2; **ლილია ოსტერლო (აშშ)**-ანა ტატიშვილი (საქ) 7:5, 6:1.

Internazionali Femminili

პალერმო (იტალია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 145 000 დოლარი

I რაუნდი

კირა ნადი (უნგ)-ტატიანა მალეკი (გერ) 6:2, 7:5.

1/8 ფინალი

მარტინა მიულერი (გერ, 2)-კონჩიტა მარტინეს გრანდოსი (ესპ) 6:2, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:3, 6:1; **სარა ერანი (იტა)**-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:2, 6:0.

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხოფასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ, 0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა